ჩნდება დასკვნა: ფინანსურმა დაწესებულებებმა უნდა შეასრულონ პეკ-ს მიმართ ჯეროვანი ყურადღების პრინციპის უკლებლივ ყველა საჭირო მითხონვა, მათ შორის, მისი მოვალეობისა დანიშნულებისამებრ მოახსენოს ფულის გათეთრების შესახებ.

§3. კლიენტისა და ბენეფიციარული ფლოზის ილენტიფიკაციის პრინციპები კომისიათა საერთაშორისო ორგანიზაციის ფასიანი ქაღალდების დარგში

კლიენტისა და ბენეფიციარი მულობელის ილენტიფიკაცია და შემოწმება, აგრეთვე ჩანაწერების წარმოება შეადგენს პროცესს “ჯეროვანი ყურადღება – კლიენტს” (შემდეგ-ჯეკ პროცესი) ან “კლიენტის საგელაგულო შემოწმება (შემდეგ – კსშ პროცესი).

ჯეკ პროცესი საკვანძო კომპონენტია მარეგულირებელი

მოთხოვნებისა ფასიანი ქაღალდების დარგში, რომლებიც განკუთვნილია რეგულირების ძირითადი მიზნების მისაღწევად ფასიანი ქაღალდების, ბაზრების სიწმინდის, ეუქციანობისა და გრანსპარენტულობის უზრუნველყოფი ინვესტორების დაცვის და ფასიანი ქაღალდების არალეგალური გამოყენების თავიდან აცილების დარგში. ეს მიზნები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ფართო თვალსაზრისით ჯყკ პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებისას, რომელსაც უნდა აგარებდნენ ნებადართული ფასიანი ქაღალდების მომსახურების პროვაიდერები (შემდეგ – პროვაიდერები), კლიენგის იდენტიფიკაციისა და ბენეფიციარული მფლობელობის შემოწმების, აგრეთვე “იყოლე შენი კლიენგი”-ს მოთხოვნის განხორციელებისათვის.

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ მოქმედების ჯგუფის (ფაგფი), ფასიანი ქაღალდების კომისიისა და საერთაშორისო ორგანიზაციის (კომისია) მუშაობის პროცესში 2001 წლის ოქტომბერში დაარსდა კლიენგის და ბენეფიციარული მფლობელობის იდენტიფიკაციისათვის მოქმედების ჯგუფი (მოქმედების ჯგუფი) იმისათვის, რომ შეესწავლათ კლიენტებისა და ბენეფიციარი მფლობელების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული რეგულირების არსებული რეკიმები და განეუთარებინათ პრინციპები, რომლებიც არეგულირებენ ჯყკ პროცესის ასპექტებს, პროცესისა, რომელიც ფასიანი ქაღალდების რეგულირების ერთ-ერთი ქვაკუთხედაა. კომისიის წევრ ქვეყნებში არსებული რეკიმების მოქმედების ჯგუფის მიმოხილვის ანალიზმმა გამოაყლინა, რომ იმ დროს, როდესაც არსებობს სხვადასხვაგვარი მიდგომები კლიენგის და ბენეფიციარი მფლობელის იდენტიფიკაციისადმი კომისიის წევრებს შორის სამართლებრივი ჩარჩოების განსხვავების გამო, მაინც არის რაღაც საერთო ნიშნები. ისინი მოიცავენ მოთხოვნებს, რომ აიძულონ პროვაიდერი,

მოახდინოს თავისი კლიენტებისა და ბენეფიციარული მფლობელების ილენტიფიკაცია, მიიღოს ადეკვატური ინფორმაცია თავისი კლიენტების პირობებისა და საინვესტიციო მიზნების შესახებ, აგრეთვე აწარმოოს ჩანაწერები ამ ინფორმაციის თაობაზე.

თუმცა, აღნიშნული პრინციპების ძირითადი ნიშნები მიზნად ისახავს ფასიანი ქაღალდების დაცვას ბაზარზე თაღლითობისა და ბოროტგამოყენების შემთხვევებისაგან, ჯყკ პროცესის გამოყენებას ფასიანი ქაღალდების დარგში ასევე შეაქვს წვლილი იმ პოლიტიკის მიზნების მიღწევაში, რომელიც განეკუთვნება ისეთი მოვლენების არალეგალური კანონსაწინააღმდეგო გამოყენების თავიდან აცილებას ფასიანი ქაღალდების დარგში, როგორც არის, ფულის გათეთრება და გერორიზმის დაფინანსება, რომლებიც მთლიანად განეკუთვნება სხვა ორგანოების კომპეტენციას.

ეფექტიან ჯყკ პროცესს შეუძლია დაგვეხმაროს, რათა დავაბრკოლოთ და აღმოვაჩინოთ ფასიანი ქაღალდების კანონების, კოდექსების დებულებებისა და წესების დარღვევები და შევამციროთ ფასიანი ქაღალდების არალეგალური გამოყენების რისკი. კომისიის წევრი ქვეყნები იზიარებენ ამ ზოგად დებულებებს.

პრინციპები, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, დაგვეხმარება აგრეთვე დავიცვათ ფასიანი ქაღალდების რეგულაციები.

პრინციპი 1.

კლიენტის ილენტიფიკაცია და შემოწმება. ნებადართულია ფასიანი ქაღალდების მომსახურე პროვაიდერები როდესაც კლიენტთან საქმიან კავშირს ამყარებენ, მოვალენი არიან ილენტიფიკაციაპყონ და შეამოწმონ კლიენტის პიროვნება, გამოიყენონ საიმედო დამოუკიდებელი დოკუმენტებისა და ინფორმაციის წყაროები.

კლიენტის ილენტიფიკაცია და შემოწმება ხელს უწყობს

ფასიანი ქაღალდების დარგში კანონსაწინააღმდეგო ბოროტგამოყენების თავიდან აცილებას, აღმოჩენას და დევნას. ეფექტიანი იდენტიფიკაციისა და შემოწმების პროცედურები აუცილებელია იმისათვის, რომ დაიცვან ინვესტორები და ხელი შეუწყონ ბაზრების მთლიანობას.

კლიენტის იდენტიფიკაციისა და შემოწმების პროცედურები სათანადოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული და უზრუნველყოფდეს გონივრულ საფუძველს პროვაიდერებისათვის, რომ ისინი დარწმუნდნენ თითოეული კლიენტის უცუარ იდენტიფიკაციაში. მათ უნდა მოახდინონ კლიენტების იდენტიფიცირება საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე ან დამყარებისას (ეს მაშინ, როდესაც კლიენტის ანგარიში გახსნილია ან კლიენტმა შეიძინა უფლებამოსილება გრანსაქცია მოახდინოს ანგარიშის მიმართ), და შეამოწმოს მათი იდენტიფიკაცია რაც შეიძლება სწრაფად, იქამდე ან იმის შემდეგ, რაც დამყარდება საქმიანი დამოკიდებულება, რათა დარწმუნდეს, რომ რისკები ეფექტიანად იმართება.

პროვაიდერებმა ასევე უნდა მიიღონ რისკის მართვის პროცედურა იმისათვის, რომ განახორციელონ ანგარიშების მონიტორინგი, როდესაც კლიენტის იდენტიფიკაცია უნდა შემოწმდეს, მხედველობაშია მისაღები ანგარიშის პირობები, რომელთა დროს კლიენტს შეუძლია გამოიყენოს საქმიანი ურთიერთობა იდენტიფიკაციის შემოწმების წინ.

არსებული კლიენტების შემთხვევაში პროვაიდერებმა უნდა მიიღონ ჯეკ პროცესი მათ მიმართ, როდესაც არსებობს კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის ეჭვი და /ან როდესაც პროვაიდერს აეჭვებს კლიენტის იდენტიფიკაციის შესახებ თავდაპირველად შეძენილი ინფორმაციის უცუარობა ან ადეკვატურობა.

რისკის საფუძველზე კლიენტების იდენტიფიკაციისა და იდენტიფიკაციის შემოწმების დროს პროვაიდერს შეუძლია დააწესოს ასეთი რისკის განსაზღვრის კრიტერიუმები და

უნდა შეეძლოს, დაადასტუროს ასეთი კრიტერიუმი თავისი რეგულაციორის წინაშე. იქ, სადაც ფასიან ქაღალდებთან კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის რისკი დაბალია, ე.ი. სადაც კლიენტის იდენტიფიკაციის ამსახველი ინფორმაცია საჯაროდ არის ცნობილი, გონიერულია, პროვაიდერს ნება დაერთოს გამოიყენოს გამარტივებული და შეკვეცილი ღონისძიებანი, როდესაც ხდება იდენტიფიკირება და მოწმდება კლიენტის პიროვნების იდენტიფიკაცია. კლიენტების მაგალითები, სადაც გამოიყენება პიროვნების იდენტიფიკაციის გამარტივებული და შეკვეცილი ღონისძიებანი, მოიცავს:

- ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებსაც ესებათ ამ პრინციპების შესაგყვისი მოთხოვნები და რომლებიც ექვემდებარებიან ბელაშედეგობას ამ მოთხოვნების შესაბამისობისათვის;
- საჯარო კომპანიებს რომლებსაც ესება მოთხოვნები გახსნის შესახებ;
- სამთავრობო ორგანიზაციებს ან საწარმოებს.

იქ, სადაც არასწორი იდენტიფიკაციის ან ფასიანი ქაღალდებით კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის რისკი მაღალია, პროვაიდერებმა უნდა მიიღონ უფრო მკაცრი ღონისძიებანი კლიენტის იდენტიფიკაციის უზრუნველსაყოფად. მაღალი რისკის ანგარიშების მაგალითები, შექმნილ გარემოებთა კვალობაზე, შეიძლება მოიცავდნენ:

- იმ პირთა ანგარიშებს, ვისაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური პოსტები უკავიათ;
- ანგარიშებს რთული კორპორაციული სტრუქტურების მქონე იურიდიული პირებისათვის;
- ანგარიშებს იმ ქვეყნებიდან ჩამოსული მოქალაქეებისათვის, რომლებიც განიხილება არაადეკვატურად რეგულირებულად;

– ანგარიშებს იმ ქვეყნებიდან ჩამოსული რეზიდენტებისათვის, რომლებიც განიხილება როგორც არაადეკვატურად რეგულირებულნი;

– ანგარიშებს პროვაიდერებისათვის, რომლებიც ფუნქციონირებენ ქვეყნებში, არაადეკვატურად რეგულირებულად რომ განიხილება;

– ანგარიშებს დაურეგისტრირებელი ან არარეგულირებადი საინვესტიციო ფონდებისათვის;

– “ომნიბუსის” ტიპის საზღვართშორის ანგარიშებს გარკვეული საინვესტიციო ფონდებისათვის

პროვაიდერებმა უნდა განსაზღვრონ რა მხარეები არიან ჩაბმული გრასგში, რომელიც საჭიროა იდენტიფიკაციისა და შემოწმებისათვის, ამასთან, გაითვალისწინონ სამართლებრივი სისტემის ნიშნები, მომსახურების ტიპი, რომელიც უნდა იქნას წარმოდგენილი და კლიენტის ტიპი. ეს უნდა გაკეთდეს რისკზე დაფუძნებული მიდგომის მეშვეობით.

თუ ქვეყნის სამართლებრივი სისტემა არ ცნობს გრასგს სამართლებრივ ფორმად, მაშინ პროვაიდერებმა უნდა მიმართონ გრასგის უცხოური მხარეების (ნდობით აღჭურვილი პირის, მარწმუნებლისა და ბენეფიციარის) მიმართ იდენტიფიკაციის და შემოწმების პროცედურებს.

რეკომენდებული მოქმედება:

– პროვაიდერებმა არ უნდა აწარმოონ ანონიმური ანგარიშები ან ანგარიშები ფიქციური სახელებით;

– პროვაიდერებს უნდა ჰქონდეთ წერილობითი ფორმის პოლიტიკა ჯყკ პროცესის მიმართ; ეს პოლიტიკა უნდა სარგებლობდეს უფროსი მოსამსახურეების მოწონებით;

– ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება მართებთ პროვაიდერებს, უნდა ესაგყვისებოდეს ფასიანი ქალაქების მარეგულირებელ წესებს, სხვა კომპეგენგურ ორგანოებს ან თვითრეგულირებად ორგანიზაციებს;

– როდესაც იხსნება ანგარიში, მომსახურების განხორციელებამდე უნდა დაიდოს წერილობითი კონტრაქტი, თუ ეს შესაძლებელია;

– ჯყკ სპეციალური პროცედურები, რომლებიც ემყარება

კლიენტის გიჟს რისკზე დაფუძნებული მიღცომის განხორციელებისას, განხილულ უნდა იქნას ფიზიკური პირების, იურიდიული პირების, ადგილობრივი მოქალაქეების, უცხოელების მიმართ გამოყენებისათვის;

– კლიენტის იდენტიფიკაციისა და შემოწმების პროცესები საგულდაგულოდ უნდა იყოს ღოკუემენტირებული ყოველ ცალკეულ შემთხვევაში;

– პროვაიდერებს შეუძლიათ დაეყრდნონ ღოკუემენტებს, აგრეთვე არადოკუმენტურ მეთოდებს ან ორივეს კომბინაციას, რათა მოასღინონ კლიენტთა იდენტიფიცილება და შემოწმონ მათი იდენტურობა.

ფიზიკური პირთა მიმართ საიმელო მეთოდებით ნაგულისხმეია:

– ვადაგაუსვლელი იდენტიფიკაცია, გაცემული სამთაერობო ორგანოს მიერ, რომელიც მოწმობს კლიენტის ეროვნებას ან საცხოვრებელ ადგილს, ფოგოსურათით ან დაცვის სხვა იდენტური საშუალებებით, როგორიც არის მძლოლის უფლება ან პასპორტი;

– კლიენტის დამოუკიდებლად დამოწმებული იდენტურობა კლიენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შედარებით იმ ინფორმაციასთან, რომელიც აღებულია მონაცემების საჯარო ბაზიდან ან სხვა წყაროებიდან;

– სხვა ფინანსური ინსტიტუტებისაგან მიღებული შესაბამისი ცნობები;

– ცნობები აღრიცხვის მდგომარეობის შესახებ;

– შეხვედრები კრებებზე, ინტერვიუები, შინ სტუმრობა, წინა საქმიანი ურთიერთობანი.

ორგანიზაციების მიმართ საიმელო მეთოდები შეიძლება ითვალისწინებდნენ:

– იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის ან განათლების შესახებ იდენტური მოწმობის ან ინკორპორაციის მოწმობის, აგრეთვე იმ ინფორმაციის მოპოვებას, რომე-

ლიც ეხება კლიენტის სახელს, ნდობით აღჭურვილი პირების სახელებს, სამართლებრივ ფორმას, მისამართს, ღირებუებებსა და დოკუმენტებს, რომლებიც ამოწმებენ პირის უფლებამოსილებას შესაბამის ვალდებულებებს აკისრებენ იურიდიულ პირს ან წარმონაქმნს;

– გაგების ფორმირებას კონგროლის სტრუქტურისა და მფლობელობის შესახებ;

– აქციების საკონგროლო პაკეტის მფლობელ ფიზიკურ პირთა იდენტიფიკაციას და იმ ფიზიკურ პირთა იდენტიფიკაციას, რომლებიც მოიცავენ იურიდიული პირის ან წარმონაქმნის მენეჯმენტს.

ყველა საჭირო დოკუმენტი უნდა იყოს საიმედო, და მიღებული იმ წყაროდან, რომელიც არ არის დამოკიდებული კლიენტზე.

„ომნიბუს“ ანგარიშები

პრინციპი 1 ა.

ნებადართული ფასიანი ქაღალდების მომსახურე პროვაიდერებს უნდა ჰქონდეთ სპეციალური ჯეკ პოლიტიკა „ომნიბუს“ ანგარიშების მიმართ.

„ომნიბუს“ ანგარიშები წარმოადგენს ანგარიშებს, რომლებიც დაწესებულია ფინანსური ინსტიტუტების მიერ ან მათი სახელით იმისათვის, რომ მონაწილეობდნენ ფასიანი ქაღალდების ოპერაციებში თავისი კლიენტების სახელით. როდესაც წესდება „ომნიბუს“ ანგარიში, პროვაიდერები ახორციელებენ თავიანთი კლიენტის – მეორე ფინანსური ინსტიტუტის იდენტიფიკაციას და შემოწმებას 1-ლი პრინციპის შესაბამისი პროცედურის მეშვეობით. როდესაც კლიენტი ხსნის „ომნიბუს“ ანგარიშს ადგილობრივ ფინანსურ დაწესებულებაში მარეგულირებელი საბეჭდადმდევლო რეჟიმის შესაბამისად, რომელიც პროვაიდერების მიმართ გამოყენებული რეჟიმის შესაბამისად, კანონსაწინააღმდეგო

საქმიანობის რისკი მცირეა. გამარტივებული და შეკვეცილი ილენტიფიკაციისა და შემოწმების გამოყენება შეიძლება მისაღები იყოს.

მაგრამ თუ კლიენტი “ომნიბუს” ანგარიშს ხსნის უცხოურ ფინანსურ დაწესებულებაში, რისკები ზოგ შემთხვევაში განიხილება როგორც პოტენციურად უფრო მაღალი, ამ შემთხვევაში უმჯობესია გაფართოებული პროცედურა.

პროვაიდერები ჯყკ გაფართოებულ პროცედურას იყენებენ “ომნიბუს” ანგარიშების მიმართ უცხოური ფინანსური დაწესებულებებისათვის. ამ გაფართოებულ პროცედურაში შედის:

– საკმარისი ინფორმაციის შეგროვება სხვა ფინანსური დაწესებულებების თაობაზე, რათა გაიგონ მისი ბიზნესი და განსაზღვრონ არსებული ინფორმაციის მიხედვით მისი პროფესიული რეპუტაცია;

– შეაფასონ ფინანსური დაწესებულების ჯყკ პროცესის ადეკვატურობა;

– ცნობები იმის შესახებ, აქვს თუ არა ფინანსურ ინსტიტუტს ფიზიკური ყოფნა ქვეყანაში, რომელშიც იგი ინკორპორირებულია, იმის გათვალისწინებით, რომ პროვაიდერებმა არ უნდა დააწესონ “ომნიბუს” ანგარიში ფინანსური ინსტიტუტისათვის, რომელსაც არ გააჩნია ფიზიკური ყოფნა ქვეყანაში და არ არის აფილირებული ფინანსურ ჯგუფთან, რომელსაც ასეთი ყოფნა აქვს;

– რეგულირებული და საბედამხედველო რეკიშის შეფასება ქვეყანაში, რომელშიც იმყოფება მეორე ფინანსური დაწესებულება, იმის განსასაზღვრავად, ექვემდებარება თუ არა კლიენტი ჯყკ საკმარისი პროცესის სტანდარტებს;

– უფროსი მოსამსახურის მოწონების მოპოვება “ომნიბუს” ახალი ანგარიშიდან გამომდინარე ურთიერთობის დამყარებამდე.

თითოეული ინსტიტუტის შესაბამის მოვალეობათა დოკუმენტირება.

ბენეფიციარული მფლობელობის იდენტიფიკაცია პრინციპი 2.

პროვაიდერებმა უნდა მოიპოვონ საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოახდინონ კლიენტისაგან განსხვავებული მხარის იდენტიფიცირება, და ის მხარე იდენტიფიცირებულ უნდა იქნეს 1 “ა” პრინციპებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმების შესაბამისად დადგენილი იდენტიფიცირებისა და შემოწმების პროცედურის გამოყენებით. რისკზე დაფუძნებული მიდგომის მეშვეობით პროვაიდერებს უნდა ჰქონდეთ გონივრული საფუძველი, რათა ირწმუნონ, რომ განსაზღვრულია ნამდვილი მფლობელობის ბენეფიციარი.

როდესაც დადგენილია საქმიანი მართლურთიერთობა, შეიძლება ზუსტად განისაზღვროს, მოქმედებს ყველა კლიენტი თავისი ხარჯით თუ მეორე მხარის ან მხარეების სასარგებლოდ (ბენეფიციარი მფლობელებისა და წარმომადგენლების სასარგებლოდ). პროვაიდერებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა იდენტიფიკაციაჰყონ და შეამოწმონ კლიენტის ანგარიშების ბენეფიციარი მფლობელები, მათ შორის, გამოიყენონ გონივრული ღონისძიებანი, რათა გაარკვიონ იმ კლიენტების მფლობელობა და კონტროლის სტრუქტურა, რომლებიც არ არიან ფიზიკური პირები. მათ შორის, მიმართონ რეკომენდებულ მოქმედებას. პროვაიდერებმა უნდა გადადგან ნაბიჯები იურიდიულ პირთა ბენეფიციარი მფლობელის იდენტიფიცირების მიზნით, ისინი მოიცავენ:

- კორპორაციულ სტრუქტურებს;
- პარგნიორობას;
- კომპანიებს, რომლებიც აქციებს უშვებენ წარმომადგენლისათვის განკუთვნილი ფორმით;
- დაურეგისტრირებულ ან დაურეგულირებულ საინვესტიციო ფონდებს;
- მაღალლევერიჯულ ინსტიტუტებს;
- ერთობლივ საწარმოებს;

– გრასტებს.

გარდა ამისა, აქ შედის დავალების ხელშეკრულებანი.
ამასთან:

– პროვაიდერებმა უნდა მოახდინონ სამართლებრივი ინ-
სტიტუტების მფლობელთა იდენტიფიცირება და შემოწმება;

– კლიენტმა უნდა დაამოწმოს პროვაიდერის წინაშე იმ
პირთა არსებობა და იდენტიფიკაცია, რომლებიც ახორციელებ-
ენ სრულ ფუნქციონირებას კონტროლს იურიდიული პირების ან
წარმონაქმნისადმი (მაგალითად, აქციონერების, კომპანი-
ის მოსამსახურეებისა და ა.შ.); ამასთან, კლიენტმა წინას-
წარ უნდა გაუხსნას ინფორმაცია პროვაიდერებს;

– პროვაიდერებმა უნდა შეიძინონ იმ სამართლებრი-
ვი დოკუმენტების ასლები, რომლებიც მოწმობენ სამარ-
თლებრივი ინსტიტუტების კარგი მდგომარეობის არსებო-
ბას;

– თუ კლიენტს ან მფლობელს აქვს აქციების საკონტრო-
ლო პაკეტი ლისტიგურ კომპანიაში ან რეგულირებულ თუ
რეგისტრირებულ საინვესტიციო ფონდში, ისეთივე კოლექ-
ტიური საინვესტიციო სქემა ორმხრივი ფონდის ან სასაქონ-
ლო პულის დროს, რომლებიც ექვემდებარებიან გახსნის
აღკვეთვით მარეგულირებელ მოთხოვნებს, მაშინ არ არის
სავალდებულო ამ იურიდიული პირის სტრუქტურული ქვე-
დანაყოფის მფლობელის თუ მონაწილის, რომელიმე აქცი-
ონერის იდენტიფიკაციის უცილობელი ინდეტიფიცირება და
შემოწმება.

„იცოდე შენი კლიენტი“ („იშკ“)

პრინციპი 3.

ფასიანი ქალაქების მომსახურე პროვაიდერებმა ყოვე-
ლი კლიენტისაგან უნდა მოიპოონ ინფორმაცია კლიენტის
პიროვნებისა და მომსახურებასთან დაკავშირებული საინ-
ვესტიციო მიზნების შესახებ, რომლებიც მათ უნდა წარედგინ-

ნოს და გამოიჩინონ ჯეროვანი ყურადღება კლიენგის ანგარიშების მიმართ.

პროვაიდერებმა უნდა მოიპოვონ ინფორმაცია თავიანთი კლიენგის პირობების შესახებ, მათ შორის ფინანსური საფუძველი და ბიზნესის ამოცანები, რათა შეიქმნან ზოგადი წარმოდგენა, რომელიც გახდება საფუძველი მოთხოვნისა „იშკ“. ეს ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს კლიენგმა იმისათვის, რომ დაიწყოს ჩანაწერის წარმოება, რომელიც შეიძლება გახდეს მოცემულ კლიენგთან დაკავშირებული რისკის ხარისხის განსაზღვრის ხელშემწყობი ფაქტორი. ამ ინფორმაციის დამატებით პროვაიდერს შეუძლია უზრუნველყოს, რომ კლიენგმა მიიღოს ადეკვატური რისკის გასსნა, და პროვაიდერს აქვს საკმარისი საფუძველი ჯეროვანი გულმოდგინების გამოჩენისათვის. ამასთან, პროვაიდერებმა აგრეთვე უნდა:

– განახორციელონ „იშკ“ პროცესი საქმიანი ურთიერთობის დამყარების მომენტიდან ბოლომდე.

– გულდასმით გამოიკვლიონ ამ ურთიერთობის მთელი მიმდინარეობის მანძილზე შესრულებული ოპერაციები, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი ეთანადება კლიენგების დაწესებულების, კლიენგის ბიზნესის ხასიათსა და რისკს, გაითვალისწინონ, როდესაც ეს აუცილებელია, კლიენგის ფონდების წყარო. იქ, სადაც პროვაიდერის საქმიანობა მოიცავს ინვენსტიციების საკითხებზე კონსულტაციას; ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ კონსულტაციამ გაითვალისწინოს კლიენგის მოთხოვნებისა და პირობების გაგება.

რეკომენდებული მოქმედება:

– პროვაიდერებმა უნდა უზრუნველყონ „იშკ“ პროცედურის შესრულება თითოეული კლიენგის მიხედვით, რათა დარწმუნდნენ, რომ ოპერაციის შესრულება ესაგყვისება კლიენგის ცოდნას, კლიენგის ბიზნესს, რისკს და, თუ ეს

აუცილებელია, ფონდების წყაროებსაც;

– გასწიონ კონსულტაცია ინვესტიციებზე, გარანტიაკონ, რომ კონსულტაცია შესაფერისია, ეფუძნება კლიენტის მოთხოვნილებათა ჯეროვან გაგებას.

ინფორმაცია, თუ რა შეუძლია პროვაიდერს მოიპოვოს, მოიცავს:

– მოსალოდნელი ოპერაციების გიპებს, ფონდების წყაროს;

– მიმდინარე გამოთვლილ შემოსავალს და წმინდა ღირებულებას, წინანდელ საინვესტიციო გამოცდილებას, ინვესტიციის მიზნებს, წინანდელ გამოცდილებას სხვა პროვაიდერებთან ურთიერთობისას.

რეკომენდებული მოქმედება:

– პროვაიდერებმა უნდა დაადგინონ მკაფიო პოლიტიკა წერილობითი ფორმით იმისათვის, რომ განსაზღვრონ კლიენტები და საქმიანობა, რომელსაც განიხილავენ მაღალ თუ დაბალ რისკთან დაკავშირებულად.

რისკის ფაქტორებს შორის, რომლებიც პროვაიდერმა უნდა მიიღოს მხედველობაში, შედის:

– პოლიტიკურად ცნობილი პირები (პკპ);

– რესურსების წარმოშობა;

– იმ საქმიანობის სახეობა, რომელსაც კლიენტი ახორციელებს;

– საჯარო რეპუტაცია;

– კლიენტის ბინადრობის ქვეყანა.

იმისათვის, რომ განახორციელონ „იშკ“ პროცესის შეფასება, პროვაიდერებმა უნდა შეასრულონ შემდეგი:

– მოიპოვონ ინფორმაცია კლიენტის შესახებ, რათა მისი მახასიათებლების დადგენა შეძლონ;

– დააკლასიფიცირონ კლიენტი და მისი მოსალოდნელი ოპერაციები, რომლებსაც დაბალი ან მაღალი რისკი ექნება;

– გააანალიზონ და შეამოწმონ კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაციები, თუ ისინი განიხილება დაბალი ან მაღალი რისკის მქონედ;

– გააანალიზონ კლიენტების ოპერაციები მათი მახასიათებლების შესაბამისად.

მონაცემთა აღრიცხვის წარმოება

ნებადართული ფასიანი ქაღალდების მომსახურე პროვაიდერებმა უნდა შეინახონ ჯყკ პროცესის აღრიცხვის მონაცემები სულ ცოგა ხუთ წელიწადს მას შემდეგ, რაც საქმიანი ურთიერთობა შეწყდა.

აღრიცხვის მონაცემების წარმოება დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს. აღრიცხვის მონაცემები უნდა იყოს საკმარისი თავისი შინაარსის მიხედვით. მათი კონტექსტი და სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს მოწმობას კლიენტებისა და ბენეფიციარი მფლობელების და კლიენტთა ბიზნესის მოდელის იდენტიფიკაციის შესახებ, შესრულებული ოპერაციების მონაცემთა ჩათვლით.

რეკომენდებული მოქმედება:

– პროვაიდერებმა უნდა დაადგინონ მკაფიო პოლიტიკა და პროცედურები წერილობითი ფორმით, რათა გარანტირებული იყოს მთელი იმ ინფორმაციის მთლიანობა, უსაფრთხოება, საიმედოობა, კონფიდენციალობა და საფუძვლიანობა, რომელიც ეხება ჯყკ პროცესს;

– შეინახონ, სულ ცოგა ხუთი წლის განმავლობაში მთელი საჭირო მონაცემები ოპერაციების შესახებ, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ოპერაციებისა, რათა შეაძლებინონ მათ ინფორმაციის წარდგენა კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნით. ასეთი მონაცემები საკმარისი უნდა იყოს ცალკეული ოპერაციების აღდგენისათვის (თანხებისა და ვალუგის სახეობების ჩათვლით), რათა, როცა აუცილებელია, წარმოადგინონ მოწმობა გამოძიებისა და

დენისათვის სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული წესით.

მესამე პირთა ნდობა

მე-5 პრინციპის არსია: ფასიანი ქაღალდების მომსახურე პროვაიდერებს შეუძლიათ გამოიყენონ საიმედო მესამე მხარეები, რათა მათ შეასრულონ “იშკ” პროცესიდან გამომდინარე მოვალეობანი იმ პირობით, რომ აღნიშნული პრინციპის მიხედვით გათვალისწინებული მოთხოვნები შესრულდება.

საიმედო მესამე მხარეები შეადგენენ ფინანსური ორგანიზაციების ფართო ნუსხას. სრული პასუხისმგებლობა “იშკ” პროცესის ინფორმაციის თაობაზე ეკისრება პროვაიდერებს.

ჯყკ პროცესის წარმატებული შესრულება

მე-6 პრინციპი იუწყება, რომ ფასიანი ქაღალდების მომსახურე პროვაიდერებმა უნდა დაადგინონ მკაფიო პოლიტიკა წერილობითი ფორმით, რათა განსაზღვრონ, რა მოქმედება უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ პროცესი ვერ დასრულდება წარმატებით ან როდესაც გაჩნდება კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის ეჭვი.

მე-7 პრინციპი – რეგულატორის როლი

რეგულატორს უნდა ჰქონდეს ადეკვატური უფლებამოსილება, რათა დაადგინოს წინასწარი პირობები ყველა პრინციპის შესრულებისათვის, განახორციელოს მონიგორინგი, უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდების მომსახურე პროვაიდერთა შესაბამისობა ჯყკ პროცესის მოვალეობებისა და იმ იდენტიფიცირებულ პირთა მოთხოვნებისადმი, რომლებიც ბენეფიციარულ საფუძველზე ფლობენ ან აკონტროლებენ ფასიანი ქაღალდების ანგარიშებს.

მე-8 პრინციპი – თანამშრომლობა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს

მისგან გამომდინარეობს, რომ იმან, ვინც არეგულირებს, უნდა შეაფასოს საკანონმდებლო ჩარჩოები თავის ქვეყანაში, განსაზღვროს, არის თუ არა საჭირო ორგანო სხვა უცხოურ მარეგულირებელ ორგანოებთან თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლისათვის, და საჭიროების კვალობაზე იმუშაოს ადგილობრივ ხელისუფლებთან იმისათვის, რომ მოახდინოს იდენტიფიცირება და აღმოფხვრას ასეთი თანამშრომლობის დაბრკოლებანი.

კომისიის წევრებმა უნდა მოიმოქმედონ ზომები, რათა დაიკვან 2002 წლის მაისში მიღებული მრავალმხრივი მემორანდუმი ურთიერთგაგების შესახებ, რომელიც შეეხება კონსულტაციებს, თანამშრომლობას და ინფორმაციის გაცვლას, და უნდა ითანამშრომლონ თავიანთ უცხოელ პარტნიორებთან სრული მოცულობით მემორანდუმის შესაბამისად.

მარეგულირებელ ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ სტიმული იმისათვის, რომ შევიდნენ მემორანდუმში სხვა მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთგაგების შესახებ, ფორმალურ და არაფორმალურ შეთანხმებებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ, თუ საჭიროა, ქვეყნის სახელისუფლებო ორგანოებთან, რომლებიც არ არიან კომისიის წევრები ან ხელი არ მოუწერიათ ამ მემორანდუმისათვის, რათა უზრუნველყონ ინფორმაციის გაცვლის მოცულობის შემდგომი შესრულება და საერთაშორისო თანამშრომლობა.

მარეგულირებელი ორგანიზაცია უნდა ესწრაფოდეს თავის უფლებამოსილებათა გამოყენებას, რათა ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამთავრობო აგენტებისაგან გამოითხოვოს მათ ქვეყანაში ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია უცხოელ პარტნიორთა

მოთხოვნებზე პასუხის გასაცემად, ამასთან დაკავშირებით მარეგულირებელ ორგანიზაციებს უნდა:

– ჰქონდეთ უფლებამოსილება, მოიპოვონ და გაცვალონ ინფორმაცია უცხოელ პარტნიორებთან ჯყკ პროცესის შესახებ, როდესაც ინფორმაცია გამოითხოვება სამართლებრივი არხებით;

– ესწრაფოდნენ ჯყკ პროცესის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის ამოქმედებას;

– ესწრაფოდნენ, რათა უზრუნველყონ, რომ ადგილობრივი კანონები საიდუმლოების შესახებ ან წესები და დებულებანი არ უშლიდნენ ხელს კლიენტის იდენტიფიკაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ან გადაცემას;

– დააწესონ კონკრული და დამკავი ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ, რომ უცხოეთის მარეგულირებელი ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაცია ჯყკ პროცესის შესახებ გამოიყენებოდეს ნებადამრთველი წესით, ესაგყვისებოდეს მოთხოვნებს, რომლებიც ეხება საიდუმლოებას და ინფორმაციის გაცვლას.

კომისიის წევრთა მიერ ფასიანი ქაღალდების დარგში კლიენტისა და ბენეფიციარული მფლობელის იდენტიფიკაციის პრინციპების მიღება დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი საიმედოდ გადაუღობავს გზას თაღლითურ მოქმედებას ფულის გათეთრებისათვის და გერორიზმის დაფინანსებას ფასიანი ქაღალდების დარგში.

თავი V. არაკომერციული ორგანიზაციები და მათი კავშირი ტერორიზმის დაფინანსებასთან

§1. გოგადი დახასიათება ფატფ-ის მოხსენებისა ტერორიზმის დაფინანსებასთან არაკომერციული ორგანიზაციების კავშირის შესახებ

ფატფ-მა პირველად გამოიკვლია ის მეთოდები და გენდენციები (ტიპოლოგიები), რომლებიც ახასიათებდა არაკომერციული ორგანიზაციების გამოყენებას ტერორიზმის დასაფინანსებლად, 2002-2003 წლებში. ამ პერიოდში ფატფ-მა შეძლო რამდენიმე წინასწარი დასკვნის გამოგანა, შემდეგ თავის მოხსენებაში გააფართოვა და გააღრმავა კვლევის არე ამ დარგში და, საბოლოოდ, უკვე დეტალური დასკვნები წარმოადგინა.

მოხსენებაში აღნიშნულია უმრავლესი ქვეყნების შემოთება იმის გამო, რომ სიძნელეებს აწყდება არაკომერციული ორგანიზაციების (აკო) საქმიანობაში ბოროტგამოყენების გზით ტერორიზმის დაფინანსების გამოვლენაში. მთლიანად დადასტურდა, რომ ასეთი ორგანიზაციები მნიშვნელოვან სოციალურ და ფინანსურ როლს ასრულებენ საზოგადოებაში და, როგორც ჩანს, ეს როლი არაერთარ ექვს არ იწვევს. მიუხედავად ამისა, აკო-ების ამ ფონდების მცირედი პროცენტის კი, რომელიც ტერორიზმის მხარდაჭერას ხმარდება, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მაშასადამე, შეზღუდული ცოდნა იმ მასშტაბის შესახებ, რომლითაც უწევენ ექსპლუატაციას ამ სექტორს ტერორისგები, განხილულ უნდა იქნეს როგორც მთელი საერთაშორისო გაერთიანების სერიოზული შემოთების საგანი.

აკო-ებს აქვთ ბევრი ისეთი მახასიათებელი, რომლებიც განსაკუთრებულს ხდიან მათ სხვადასხვაგვარი ბოროტგამოყენების მიმართ, კერძოდ, ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით. ისინი სარგებლობენ საზოგადოებრივი ნდობით, ხელი მიუწვდებათ ფონდების მნიშვნელოვან წყაროებზე, უწინარესად, ნალდ ფულზე. ამ ორგანიზაციათაგან ზოგიერთს ახასიათებს გლობალური ყოფნა, რაც ანიჭებს შესაძლებლობას, არცთუ იშვიათად განახორციელონ ნაციონალური და საერთაშორისო ოპერაციები და ფინანსური ტრანსაქციები რაიონებში, რომლებიც შეიძლება სხვებზე ხშირად იქნეს გამოყენებული ტერორისტული საქმიანობის მიზნით. დაბოლოს, ქვეყნისა და აკო-ების სამართლებრივი ფორმის კვალობაზე ისინი უმნიშვნელოდ ექვემდებარება სამართლებრივ რეგულირებას, ან ეს რეგულირება საერთოდ არ არსებობს (მაგალითად, რეგისტრაცია, ჩანაწერების წარმოება, მოხსენება და მონიტორინგი), ანდა ნაკლებად აქვთ დაბრკოლებანი მათი შექმნისათვის (მაგალითად, შეიძლება აკლდეთ გამოცდილება).

თუმცა, ეს ორგანიზაციები საქველმოქმედო მიზანს ისახავდნენ, გადარიცხვათა ოდენობა და სიხშირე ძნელი ასახსნელი იყო. სამი წლის განმავლობაში 35 აკო-მ საზღვარგარეთ გადარიცხა 100 მილიონი აშშ დოლარი. ქსელი შედგებოდა მთელ ქვეყანაში განლაგებული უამრავი ორგანიზაციისაგან, რომლებიც კონცენტრირებული იყვნენ ისეთ ქალაქებში, სადაც მრავალრიცხოვანი იმიგრანტული თემები არსებობდა. სისხლისსამართლებრივმა გამოძიებამ ცხადყო, რომ აკო-ები ფულის გადარიცხვის ალგორითმული სისტემის საფარს წარმოადგენდნენ. მართალია, ჯერ ნაადრევი იქნებოდა დასკვნის გამოგანა ამ ქსელების ფონდების წყაროსა და დანიშნულების შესახებ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, იმის მტკიცება შეიძლება, რომ არსებობდა ყოველმხრივ აწონ-დაწონილი განზრახვა. გამოყენებინათ

იმიგრანტთა გაერთიანების დახმარებით მოზიდული ფონდები გეროორისტული აქტების მხარდასაჭერად.

და ბოლოს, აკო-ების გამოყენება თავისუფლად შეიძლება გეროორისტთა უშუალო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად და შესრულებული ოპერაციების დასაფარავად. გეროორისტული ბოროტგამოყენების ასეთი ტიპი დამახასიათებელია იმ აკო-ებისათვის, რომლებსაც რამდენიმე ფილიალი აქვთ მრავალ ქვეყანაში.

განვიხილოთ მაგალითი, რომელიც ასახავს აკო-ების გამოყენებას უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ ფულადი სახსრების გადასარიცხად. აკო “ა” ქვეყანაში დარეგისტრირდა, როგორც გადასახადით დაუბეგრავი საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომლის მიზანსაც შეადგენდა ჰუმანიტარული დახმარების პროექტთა განხორციელება მთელ მსოფლიოში, თუმცა აკო “ა” ქვეყანაში იყო ინკორპორირებული, იგი ბევრგან ფუნქციონირებდა ოდნავ შეცვლილი სახელწოდებით.

ფინანსური და საქმიანი ჩანაწერების ხელში ჩაგდება მოხერხდა აკო-ს სათაო ოფისში, მთავარი აღმასრულებელი მოსამსახურისა და დირექტორთა საბჭოს წევრის სახლებში. ამავე დღეს “ა” ქვეყანამ გასცა იმ აქტივებისა და ჩანაწერების ბლოკირების ორდერი, რომლებიც შემდგომ გამოძიებას ექვემდებარებოდა. თერთმეტი თვის შემდეგ “ა” სახელმწიფომ აკო-ს შესახებ შეგროვებული მასალები წარუდგინა გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების მიხედვით დახასიათებისათვის. “ა” ქვეყანამ აკო-ს მთავარ აღმასრულებელ მოსამსახურეს ბრალად დასდო თაღლითობა და ორგანიზებული დამნაშავეობა, რომელიც დაკავშირებული იყო 315 ათას აშშ დოლარზე მეტი შემოწირულობის გადარიცხვასთან გეროორისტული ორგანიზაციებისათვის. ბრალდება გამყარებული იყო იმის მტკიცებულებებით, რომ აკო უწევდა როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მხარდაჭერას გეროორისტულ ორგანიზაციას.

§2. ბოროტგამოყენებათა კატეგორიები

არაკომერციულ ორგანიზაციებთან დაკავშირებით, ფაგფ-ის მიერ გაწეული მუშაობიდან შეგვიძლია გამოვიგანოთ დიდმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ ამ ორგანიზაციათა სხვადასხვა კატეგორიებს აქვთ გარკვეული რისკთა ჯგუფები და ისინი განსხვავდებიან უჩვეულო მახასიათებლებით, რომლებიც შეიძლება აღმოჩენილ და გამოყენებულ იქნეს გერორიზმის დაფინანსების იდენტიფიკაციის დროს. დიდმნიშვნელოვანია, მაგალითად, განვასხვავოთ აკო-ები, რომლებიც ოფიციალურად საქველმოქმედო ორგანიზაციებად არის დარეგისტრირებული და იყენებდნენ თავიანთ სტაგუსს ფულადი სახსრების გასაღებად, იმ აკო-ებისაგან, რომლებიც ნაკლებად შესაძინევენ ფუნქციებს ასრულებენ და არცთუ იშვიათად გაურბიან რეგისტრაციას და გადასახადის გადახდას. ხშირად აკო-ები შეიძლება უფრო ცნობილი იყოს როგორც კულტურული ასოციაციები ან ორგანიზაციები, რომლებიც დაკავებული არიან სათვისტომოების სპეციალური საკითხებით, და არა ქველმოქმედებით.

აკო-ები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების სახით ფუნქციონირებენ, შეგვიძლია განვასხვავოთ იმათგან, რომლებიც ლოკალური მასშტაბით მოქმედებენ. არსებობს მცდარი წარმოდგენა, რომ აკო-ებში შეიძლება დაშვებულ იქნეს ბოროტგამოყენებანი საერთაშორისო მასშტაბით, როდესაც იზიდავენ ფულად სახსრებს დონორ ქვეყნებში და შემდეგ ურიცხავენ ამ თანხებს გერორისგულ ჯგუფებს მესამე ქვეყნებში. თუმცა, საერთაშორისო საქმიანობა შეიძლება იყოს უფრო მოწყველადი და მიდრეკილი ბორტოგამოყენებისაკენ, გერორიზმის დაფინანსება შეიძლება მოხდეს აკო-ებშიც, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული საზღვრების ფარგლებში მოქმედებენ. ქვეყნები, რომლებმაც საკუთარი გამოცდილებით იციან შიდა გერორიზმის

პრობლემა. საკმაოდ კარგად იცნობენ აკო-ებს, თავიანთი საზღვრების ფარგლებში რომ ფუნქციონირებენ და მიდრეკილი არიან ბოროტგამოყენებისადმი, რომლებსაც შედეგად მოსდევს ლოკალური გერორისგული ჯგუფების დაფინანსება.

მცდარია კონცეფცია, თითქოს გერორისგთა ბოროტგამოყენებანი აკო-ების მიმართ მხოლოდ რეგიონულ ექსტრემიზმს განეკუთვნება.

დანარჩენი განსხვავებანი, რომლებიც შეგვიძლია გამოვალინოთ, მოწმობენ აკო-სა და მისი დონორის თანამონაწილეობის სხვადასხვა ხარისხს. იმ დროს, როდესაც ექსპერტთა მიერ განხილული მეტი წილი შემთხვევები შეიცავდნენ აკო-ს კორუმპირებულ ან თანამონაწილეობის მენეჯმენტს, წელილი რომ შეაქვს გერორიზმის დაფინანსებასთან კავშირის დამყარებაში, შეგვიძლია ვილაპარაკოთ უდანაშაულო აკო-ების უმრავლესობაზე, რომლებსაც ექსპლუატაციას უწევდა ორგანიზაციის სტრუქტურაში შემოდ-წეული რამდენიმე ელემენტი. უფრო მეტიც, უდანაშაულო აკო შეიძლება ასევე გახდეს ფილიალთან დაკავშირებული ორგანიზაციის – რეკიპიენტის ან ფილიალთან დაკავშირებული ორგანიზაციის მსხვერპლი. არის ინფორმაცია ფულის ვითომ მოზიდვის შესახებ, როდესაც არსებული და ამის შესახებ არავითარი წარმოდგენის არმქონე აკო-ს სახელწოდებით ინიღბებოდა ფულადი სახსრების შეგროვება.

§3. ტერორიზმის დაფინანსების აღმოჩენა აკო-ს სექტორში

მემოთ აღნიშნულმა გიპოლოგიებმა ექსპერტები მიიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ გერორიზმის დაფინანსებასთან აკო-ს შესაძლო კავშირის აღმოჩენის საუკეთესო შესაძლებ-

ლობა სპეცსამსახურების ან პოლიციის საქმიანობა, რომელიც ემყარება კავშირს სხვა აკო-ებთან (ოპერატიული, ფინანსური ან მენეჯმენტის თუ პერსონალის მეშვეობით განხორციელებული) ან მოქალაქეებთანაც კი, რომლებიც უკვე იყვნენ ეჭვიგანილნი გეროორისტულ საქმიანობაში და მის დაფინანსებაში. ზოგიერთ შემთხვევაში აკო-ების ღირებულებებს ან მმართველებს შეიძლება პქონდეთ ექსტრემიზმის, ან თვით სისხლის სამართლის ისგორია, ანდა გეროორიზმთან დაკავშირებული ჩანაწერი. სხვა შემთხვევებში შეიძლება დადგინდეს კავშირი კარგად ცნობილ გეროორისტულ ორგანიზაციებთან ან სხვა აკო-ებთან, რომლებიც უკვე ყოფილან გაეროს ან ცალკეული ქვეყნების მიერ შედგენილ მოქალაქეთა თუ იურიდიულ პირთა სიებში. საზოგადოების შესწოთებამ საეჭვო საქმიანობაში აკო-ს შესაძლო მონაწილეობის გამო შეიძლება, ასევე შეუწყოს ხელი შესაძლო ბოროტგამოყენებათა აღმოჩენას.

ფინანსური ინსტიტუტების მიერ საეჭვო ოპერაციათა შესახებ მოხსენებას და ფინანსური სადაზვერვო სამსახურების ან სამართალდამცველი ორგანოების მიერ შემდგომ ანალიზს შეუძლიათ ასევე თვალსაჩინო როლი შეასრულონ აკო-ების მხრივ საეჭვო ბოროტგამოყენებათა გამოვლენაში. ზოგიერთ შემთხვევაში მოხსენებებს აკო-ების უჩვეულო საქმიანობასთან დაკავშირებული საეჭვო ოპერაციების შესახებ შედეგად მოსდევს გამოძიების ინიცილება, მაშინ როდესაც სხვა შემთხვევაში, მოხსენების და ფინანსური დაზვერვის ანალიზის სისტემას წელილი შეაქვს მიმდინარე გამოძიების განვითარებაში.

ბელამხედველობის ან საგადასახადო დაბეგრის ორგანოების მონიგორინგს, რომლებიც პასუხს აგებენ აკო-ების მიმართ ბელამხედველობისათვის, შეიძლება შედეგად მოჰყვეს საქველმოქმედო სექტორში გეროორიზმის დაფინანსების შემსახვევათა იდენტიფიკაცია. ამ ორგანო-

ებს ხშირად შეაქვთ თავიანთი წვლილი შესაბამისი მიდგომების შემუშავებაში, რამდენადაც შეუძლიათ, ჩამოაყალიბონ კითხვები, რომელთა დასმა საჭიროა იურიდიულ პირთა ინსპექტირებისას, და/ან გაუზიარონ ინფორმაცია სამართალდამცველ სააგენტოებს. ექსპერტები დაეთანხმნენ იმას, რომ აღმოჩენის ამ მექანიზმთაგან თითოეულს აქვს პასუხსაგები ფუნქცია, რომელიც შეიძლება კოლექტიურად შესრულდეს. აღმოჩენის შესაძლო მექანიზმების მრავალფეროვნება ხაზგასმით წარმოაჩენს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის გაცელის ეფექტიან მოწყობილობათა კონსტრუირებას სამართალდამცველი ორგანოების ფარგლებში.

§4. გაფრთხილების ინდიკატორები

საექვო, გერორისგულ ორგანიზაციებთან ან სხვა აკოებთან კავშირების შესწავლის გარდა, ექსპერტებმა მოახდინეს მთელი რიგი ინდივიდუალური უჩვეულო მახასიათებლებების, ანუ “წითელი აღმების” იდენტიფიცირება. ამ უჩვეულო მახასიათებელთაგან ერთნი შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო იყოს ფინანსური ინსტიტუტებისათვის, მეორენი – ზედამხედველობისა და გამოძიების ორგანოებისათვის.

სპეციფიკური ფინანსური მახასიათებლები:

– შეუსაბამობა მოზიდული ან გადაადგილებული ფულადი სახსრების წყაროებსა და ოდენობას შორის, როდესაც დიდი თანხები მოზიდულია სათვისტომოებში, რომლებსაც ერთობ მოკრძალებული ცხოვრების დონე აქვთ;

– შეუსაბამობა ოპერაციის სახეობასა და ოდენობას შორის, ერთი მხრივ, და აღნიშნულ მიზანსა და აკო-ს საქმიანობის სახეობას შორის, მეორე მხრივ, მაგალითად – კულტურული ასოციაცია, რომელიც ათი წლის არსებობის

შემდეგ ხსნის ანგარიშს მუსიკალური ფესგივალევისაგან შემოსული თანხებისათვის და დეკომბიგებს დიდი თანხების ოლენობით;

– უეცარი ზრდა საფინანსო ოპერაციების სიხშირესა და თანხებში აკო-ს ანგარიშზე, და პირიქით – ანუ, როცა აკო-ს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ხელუხლებლად აქვს ანგარიშზე ფულადი სახსრები;

– დიდი და აუხსნელი ოპერაციები აკო-ს ნალდ ფულზე;

– იმ დონორთა ანაბრების არარსებობა, რომლებიც აკო-ს წარმოშობის ქვეყანაში იმყოფებიან.

სხვა მახასიათებლები:

– უცხოელი დირექტორების არსებობა, განსაკუთრებით კომბინაციაში დიდ ოპერაციებთან ქვეყანაში, საიდანაც მოვიდნენ ასეთი დირექტორები, მეგაღრე, თუ დანიშნულების პუნქტს მაღალი რისკი ახასიათებს;

– გაუგებარი კავშირების მქონე აკო-ების მეგისმეგი სიმრავლე; მაგალითად, რამდენიმე აკო ურიცხავს ფულს ერთმანეთს ან ცელის ერთსა და იმავე მისამართებს, მმართველებს და პერსონალს, ან მრავალი აკო ერთსა და იმავე გაერთიანებას განეკუთვნება და ერთი და იგივე მომსახურებით სარგებლობს;

– აკო-ები უმნიშვნელო მასშტაბისაა, ე.ი. თავიანთ მიზნებთან და ფინანსურ ნაკადებთან შედარებით მათ მცირერიცხოვანი შგაგი აქეთ ან საერთოდ არა ჰყავთ შესაფერისი მოსამსახურენი ან არ გააჩნიათ გელეფონის ნომრები;

– ოპერაციები ან გრანსაქციები მაღალი რისკის ქვეყანაში ან ქვეყნიდან, შეიძლება, რა თქმა უნდა, ჩაითვალოს საგულდაგულო შემოწმების არგუმენგად. იგი შეიძლება გამოადგეს აგრეთვე კრიგერიუმად საზელამხედველო ორგანოს ან სხვა კომპეგენგურ ხელისუფალთ ყურადლების ინიცირებისათვის.

§5. ბანსხვავებული საგვამხედველო სისტემები და მიღომები

ექსპერტებმა გამოიგანეს დასკვნა: იმისათვის, რომ აკონაკლებად დაუცველი იყოს ბიორეგამოყენებისათვის გერორიზმის დასაფინანსებლად, საჭიროა დამატებითი ღონისძიებანი. მაგრამ ასეთ ღონისძიებათა ხარისხი და ბუნება უნდა განისაზღვროს. ამ სფეროში მკაფიო მიმართულების უქონლობა ნაწილობრივ გამოხატავს იმას, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მნიშვნელოვანი განსხვავებაა იმ მხრივ, თუ როგორ ხორციელდება ზედამხედველობა და როგორ უზრუნველყოფენ გრანსპარენტულობას აკონსექტორში. ზოგიერთ ქვეყანას მოსდგამს აკონებისადმი აქტიური სამთავრობო ზედამხედველობის ძველი გრადიცი, როდესაც სხვა ქვეყნებში დიდი ყურადღება ეთმობა ჩანაწერთა წარმოების დეგალურ მოთხოვნებს და სისხლისსამართლებრივ გამოძიებას. მთელრივ ქვეყნებს დანერგილი აქვთ მარეგულირებელი სისგემები. ეს სისგემები მოიცავენ იმ ჩანაწერთა წარმოებისა და მოხსენებების დეგალურ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება აუდიგორთა უფლება-მოვალეობებს, ლიცენზირებას, საბანკო ანგარიშების სავალდებულო გამოქვეყნებას, საერთაშორისო გრანსაქციების ნებართვებს, მოთხოვნებს ბანკებისადმი იმის თაობაზე, რომ ჯეროვანი ყურადღება გამოიჩინონ კლიენტებისადმი (აკონების მიმართ).

ქვეყნების განსხვავებული მიდგომები უმთავრესად განეკუთვნება სხვადასხვა შეხედულებებს მთავრობის როლზე აკონების ქველმოქმედებისა და სხვა გიპის საქმიანობის რეგულირებაში. ზოგიერთი ქვეყანა მიიჩნევს, რომ ღონორთა დაცვა ეკისრებათ მათ, ვისაც წვლილი შეაქვს არაკომერციულ ორგანიზაციაში, ე.ი. კერძო ორგანიზაციებს, რომლებიც პასუხს აგებენ ზედამხედველობისათვის.

მრავალი ქვეყანა ამჯობინებს რეგულირების და ზედამ-

ხედველობის გარკვეულ სახეობას იმ აკო-ებისადმი, რომლებიც ფინანსურმა ორგანოებმა მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლეს გადასახადით დაბეგერისაგან. ზოგიერთ ქვეყანაში ამ ორგანოებს შეუძლიათ აქტიური როლიც კი შეასრულონ ზედამხედველობაში ასეთი ორგანიზაციებისადმი, მაგალითად, ფინანსურ ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ დეტალური ყოველწლიური მოხსენებანი თითოეული დარეგისტრირებული აკო-სადმი და დაინტერესებულ პირთა თხოვნით, მიაწოდონ ინფორმაცია.

ზოგჯერ სახელმწიფო რეგულირება და ზედამხედველობა მიმართულია გარკვეული ტიპის იურიდიულ პირთა მთლიანობის დაცვისადმი, რომლებსაც აქვთ სპეციალური ლიცენზიები საქველმოქმედო ორგანიზაციათა დიდი თანხების მართვისათვის.

და ბოლოს, არსებობს მეორე მოსაზრებაც აკო-ების სფეროში ზედამხედველობის გაძლიერების სასარგებლოდ – რათა თავიდან აიცილონ ბოროტგამოყენება არა მარტო გერორიზმის დაფინანსების დარგში, არამედ აგრეთვე ფულის გათეთრებისა და თაღლითობის აღსაკვეთად.

სახელმწიფოთა უმრავლესობას შეუძლია თავისი რესურსების მხოლოდ შეზღუდული ნაწილი მოახმაროს აკო-ების სექტორის რეგულირებას და ზედამხედველობას, რომლებიც არცთუ იშვიათად შედგება ასიათასობით ორგანიზაციისაგან, ეროვნული პროდუქტის მნიშვნელოვანი პროცენტით რომ ოპერირებენ. ზოგჯერ ცალკეული, კერძოდ, განვითარებადი ქვეყნების აკო-ების სექტორს უფრო მეტი ეკონომიკური წონა და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საჯარო სექტორს. მეგ წილ ქვეყნებში (90%-მდე) აკო-ები ძალზე მცირე ორგანიზაციებისაგან შედგება. ამ პაგარა არაკომერციულ ორგანოებს უჭირთ ზიღონ მათთვის უსვეულოდ მძიმე გვირთი – იყენენ შესაბამისნი სახელმწიფო რეგულირების დეგალიზებული მოთხოვნებისა.

ასეთ დებულებათა მაგალითია ასოციაციების თავისუფლება ან რელიგიურ ორგანიზაციათა სპეციალური სტატუსი.

ექსპერტების აზრით, საჭიროა განვითარდეს ან გაფართოვდეს ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ეროვნულ დონეზე თანამშრომლობისათვის სასარგებლოა შეიქმნას “მოქმედების ეროვნული ჯგუფი”, რომელიც მოიცავდა სამართალდამცველ სააგენტოებს, დაზვერვის ორგანოებს, აკო-ებისადმი ზედამხედველობისათვის პასუხისმგებელ პირებს და ფისკალურ ორგანოებს.

ასეთი მოქმედების ჯგუფს შეუძლია:

– შეამოწმოს და შეაფასოს ტერორიზმის დაფინანსების რისკი არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში;

– შეიმუშაოს რეკომენდაციები ზედამხედველობის ეფექტიანი გონივრული მექანიზმების შესაფერისი განვითარების ან გაფართოებისათვის, რათა აღიკვეთოს ეს რისკი;

– გაცვალოს ინფორმაცია მოცემულ სექტორში არსებული პოტენციური ან საეჭვო საქმიანობის სახეობის შესახებ.

ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლისა და კოორდინაციის მიზნით ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რაოდენ ღიბი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის აქტიურ და ოპერატიულ გაცვლას პარტნიორებს შორის, ე.ი. არა მარტო ფინანსურ დაზვერვებს შორის, არამედ აგრეთვე ფინანსურ დაზვერვებსა და მარეგულირებელ სამართალდამცემებელ ორგანოებს შორის.

ფაგფ-ის კვლევითი საქმიანობა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს არაკომერციული ორგანოების გამოყენების გზით ტერორიზმის დაფინანსებისადმი წინააღმდეგობაში, უდავოდ იმსახურებს ყველა იმ ქვეყნის განუხრელ ყურადღებას, რომლებიც შეურიგებელ ბრძოლას ეწევიან ამ ბოროტების წინააღმდეგ.

თავი VI. ფინანსური ღაგვერვების საერთაშორისო ჯგუფი „ეგმონტი“

§1. ფინანსური ღაგვერვების ეროვნული ღანაყოფები ღა ეგმონტის ჯგუფი


ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა ღიდმნიშვნელოვანი ნაწილია ყოველმხრივი ბრძოლისა, რომელიც წარმოებს ფინანსური სფეროების დასაცავად ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა ღა გერორისგული საქმიანობის დაფინანსებისაგან. მთელი მსოფლიოს სახელმწიფოები აღიარებენ იმის საშიშროებას, რომ დაუსჯელი ფინანსური ღანაშაული საფრთხეს უქადის მათს ეკონომიკურ ღა პოლიტიკურ სისტემებს. ფარული შემოსავლების ლეგალიზაციისადმი წინააღღგომის საკეანძო საკითხია, უბრუნველყოფილ იქნეს, რომ უაღრესად საჭირო ინფორმაცია აღწევღეს გამოძიებისა ღა ღეენის ორგანომღე, რომელიც პასუხს აგებს ღამნაშავეთა გზაზე დაბრკოლების აღმართვისა ღა უკანონოდ შექენილი ქონების კონფისკაციისათვის.

ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ფულის გათეთრების ღეენის მხარდაჭერისა ღა გერორიზმის დაფინანსების აღკვეთისათვის, ხშირად მოიცავს ფართო წრის საქმიანობას, რომელიც მთლიანად ემყარება სისხლისსამართლებრივ მოტივაციას. ფულის გათეთრებისა ღა სხვა ფინანსური ღანაშაულობებისადმი წინააღმდეგობა მოითხოვს არა მარგო კანონიერებისა ღა წესების, გამოძიებისა ღა ანალიზის ცოდნას, არამედ აგრეთვე საბანკო საქმის, ფინანსების, ბუღალგერიისა ღა სხვა იმ სპეციალობების დაუფლებასაც, რომლებიც ეკონომიკასთან არის დაკავშირებული. ყველა გიპის ფინანსური ღანაშაულობანი ხშირად ერთგვარ ეკონომიკურ ფენომენს წარმოადგენენ: გამთეთრებლები თავი-

ანთ იპედებს გარკვეულწილად ამყარებენ უკანონოდ შეძენილი ფონდების დამალვის უკვე არსებულ ფინანსურ და საქმიან გამოცდილებაზე ან ლეგალურად შეძენილი ფონდების გამოყენებაზე გეროროსტული აქტებისა და სისხლისამართლებრივი დანაშაულობებისათვის.

ფინანსური გამოძიებები სავარაუდოდ ესება სამართალ-გამომყენებელ სააგენტოებს ერთი ქვეყნის ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ ეფექტიანი მრავალმხრივი მიდგომა ფინანსური დანაშაულობების მიმართ წინააღმდეგომისა და მათი აღკვეთისადმი ხშირად აღწევს რომელიმე ორგანოს, რომელიც ღვენის უფლებას ახორციელებს.

ფდღ ძირითადი კონცეფცია მაგალითი



1. ფულ-სათვის გადაცემული ვანახსნები.
2. ფულ იღებს დამატებით ინფორმაციას სამართლის განმარტოციელებელი ორგანოსაგან.
3. შესაძლო გაცელა უცხოელ პარგნიორთან.
4. ანალიზის შემდეგ ფულ საქმეს წარუდგენს დენის ორგანოს.

ფინანსური ლაზერვის შექმნა

ბოლო წლების მანძილზე სპეციალიზებულმა სახელმწიფო სააგენტოებმა თავიანთი განვითარების კვალობაზე შექმნეს სისტემები, რომლებიც ეხება ფულის გათეთრების პრობლემებსა და სხვა ფინანსურ დანაშაულობებს. ამ ორგანიზაციებს “ფინანსურ ლაზერვითა დანაყოფებს”, ანუ ფულ-ს უწოდებენ. ისინი მთელი მსოფლიოს სამართალგამომყენებელ სააგენტოებს საინფორმაციო გაცელის დიდმნიშვნელოვან გზას სთავაზობენ. ფულ წარმოადგენს ცენტრალურ ორგანიზაციას, რომელიც იღებს საინფორმაციო მოხსენებებს, ამუშავებს და აცნობს მათ მთავრობას. ფულ-ს შეუძლია უზრუნველყოს ინფორმაციის სწრაფი გაცელა და ამასთანავე, დაიცვას უდანაშაულო პირთა ინტერესები, რომელთა თაობაზეც აქვს ინფორმაცია.

სასამართლო მოდელი დადგენილია ხელისუფლების სასამართლო შგოში, სადაც საეჭვო საქმიანობის ამსახველი ცნობები მიღებულია ფინანსური სექტორიდან; აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი სამართლებრივი ღონისძიებანი, როგორიც არის ფონდების დაპატრონება, ანგარიშების დახურვა, დაკითხვების მოწყობა, ადამიანთა დაკავება (კვიპროსი, ლუქსემბურგი).

სამართალგამოყენების მოდელის არსია ფულის გათეთრებისადმი წინააღდგომა სამართლის არსებულ სისტემებთან ერთად, როდესაც სასამართლო ორგანოებს, სამართლის გამოყენების მხარდაჭერისას მინიჭებული აქვთ უფლე-

ბამოსილება, გამოიძიონ ფულის გათეთრება (დიდი ბრიგანეთი, უნგრეთი), რომელიც ფინანსური სექტორიდან იღებს და ამუშავებს ინფორმაციას და გადასცემს მათი სასამართლო ან სამართალგამომყენებელ ორგანოებს დევნისათვის. იგი მოქმედებს როგორც ერთგვარი ბუფერი ფინანსურ ორგანოებს შორის (რუსეთი, აშშ).

ჰიბრიდული მოდელი შემაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს სასამართლო ორგანოებსა და სამართლის განმასხორციელებელ ორგანოებს შორის. მასში შეხამებულია ფინანსური დაზვერვის ორი ან სამი მოდელის ელემენტები (დანია, ნორვეგია).

ეგმონგის ჯგუფის მუშაობის დასაწყისი

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური დაზვერვის დაწესებულებანი ჩამოყალიბდა 90-იან წლებში, მათ განიხილადნენ როგორც იმ ქვეყნების სპეციფიკურ მოიხოვნებთან დაკავშირებულ ფენომენს, სადაც შეიქმნა ისინი, 1995 წლიდან ზოგიერთმა დაწესებულებამ დაიწყო მუშაობა არაფორმალურ ორგანიზაციასთან ერთად, რომელსაც ეგმონგის ჯგუფი ეწოდა (რადგან პირველი თათბირი სწორედ ეგმონგარენბერგის სასახლეში გაიმართა ბრიუსელში 1995 წლის 9 ივნისს).

2004 წლის ივნისში ეგმონგის ჯგუფმა მოიწონა ფდღ-ს შემდეგი განსაზღვრება: „ცენტრალური ეროვნული სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მიღებისა (და, თუ ეს ნებადართულია, ანალიზის) და კომპეტენტურ ორგანოებს შორის გაერცელებისათვის:

– რომელიც ეხება საეჭვო შემოსულობებსა და გერორიზმის პოტენციურ დაფინანსებას;

– მოითხოვება ეროვნული კანონმდებლობით ან წესებით, რათა წინააღუდგნენ ფულის გათეთრებას და გერორიზმის დაფინანსებას“.

მართალია, განსაზღვრებით დადგენილია, რომ ფდლ საქმიანობა მოიცავს ინფორმაციის მიღებას, ანალიზს და გაერელებას, იგი არ გამოირიცხავს არც სხვაგვარ აქტიურობას.

ფდლ-ს სავარაუდოდ შეუძლია აწარმოოს განსაზღვრებაში ხსენებული საქმიანობა და აწარმოოს აღნიშნული გამოძიება.

ინფორმაციის გაცვლა

ეგმონგის ჯგუფის ცენტრალური ამოცანაა ინფორმაციის გაცვლა. მიიღეს ორი დოკუმენტი: “ინფორმაციის გაცვლის პრინციპები” და “ინფორმაციის გაცვლის საუკეთესო პრაქტიკა”, რათა გაზრდილიყო შინაინსური დაზვერვის დაწესებულებათა შორის თანამშრომლობის ხარისხი.

პრინციპებით ნაწილობრივ გათვალისწინებულია, რომ დანაყოფებს უნდა შესწევდეთ უნარი, გაუცვალონ სხვებს ინფორმაცია ნაცვალგების ან ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე და მუდმივი პროცედურის მიხედვით, რომელიც გასაგები იქნება მოთხოვნის აღრესაგი და მოთხოვნილი მხარისათვის. ეგმონგის ჯგუფის წევრები დაეთანხმნენ იმას, რომ დანაყოფებს შორის გასაცვლელი ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპეციალური მიზნისათვის, რომლისთვისაც იქნა ინფორმაცია მიღებული; რომ მთელი მიღებული ინფორმაცია უნდა დაექვემდებაროს მკაცრ კონტროლს და დაიცვას მისაღები წესით, რომელიც შეესაბამება სახელმწიფო დებულებებს ინფორმაციის საიდუმლოებისა და დაცვის შესახებ.

ფულის გათეთრება და გერორიზმის დაფინანსება წარმოადგენს საერთაშორისო საკითხებს, რომლებიც უნდა გადაწყდეს თანამშრომლობისა და კოორდინაციის საფუძველზე, რასაც ეგმონგის ჯგუფი განუხრელად უნდა იცავდეს.

§2. ეგმონტის ჯგუფის საერთაშორისო სამართლებრივი დახასიათება, სტრუქტურა და საქმიანობა

ეგმონტის ჯგუფი გვევლინება საერთაშორისო ქსელად, რომელიც ხელს უწყობს ფინანსურ დაზვერვებს შორის თანამოქმედების და კომუნიკაციის სრულყოფას. ეგმონტის ჯგუფი საერთაშორისო ორგანიზაციაა, მისი მიზანია უზრუნველყოს ფორუმები მთელი მსოფლიოს ფინანსური დაზვერვებისათვის, გააუმჯობესოს მთავრობათა მხარდაჭერა ფულის გათეთრების, გერორიზმის დაფინანსებისა და სხვა ფინანსური დანაშაულობების წინააღმდეგ. ეს მხარდაჭერა მოიცავს:

– საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას და სისტემატიზაციას ფინანსური სადაზვერვო ინფორმაციის ორმხრივ გაცულაში;

– ფულ ეფექტურობის გაძლიერებას, წვრთნებისა და გაცვლითი პირადი შეხვედრების მოწყობას გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების სრულყოფისათვის;

– ფულ დანაყოფების შექმნის სტიმულირებას იმ ქვეყნებში, სადაც ფარული შემოსავლების ლეგალიზაციისა და გერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმდინარე რაციონალური ბრძოლის პროგრამა ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია.

ეგმონტის ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურა

ეგმონტის ჯგუფის მოქმედების პროგრამა აფართოებს და ასისტემებს ინფორმაციის გაცულას ფინანსურ დაზვერვებს შორის, სრულყოფს ასეთი ორგანიზაციების გამოცდილებას და უნარს, და აუმჯობესებს ფინანსური დაზვერვის დაწესებულებათა კავშირუერთიერთობას, ამასთან, იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, რათა შეასრულოს თავისი

მისია – განავითაროს თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცემა. ჯგუფმა ჩამოაყალიბა ხუთი სამუშაო ჯგუფი და ეგმონგის კომიტეტი. ქვემოთ მოყვანილია აღნიშნული ჯგუფები და მათი ფუნქციები:

სამართლებრივი სამუშაო ჯგუფი განიხილავს პოტენციურ წევრებს, უძღვება „ეგმონგის“ ძირითად საკითხებს და სამართლებრივ ასპექტებს, მათ შორის, თანამშრომლობას ფინანსური დაზვერვის ჯგუფებს შორის;


საგარეო ურთიერთობის ჯგუფი მუშაობს გლობალური ქსელის შექმნაზე, ახდენს ჯგუფის წევრობის კანდიდატთა იდენტიფიცირებას და თანამშრომლობს ქვეყნებთან, რათა უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესრულება;

სასწავლო სამუშაო ჯგუფი ავლენს ფდდ პერსონალის სასწავლო მოთხოვნილებებს და უგარებს სასწავლო სემინარებს „ეგმონგის“ წევრებს, აგრეთვე ქვეყნებს, რომლებიც არ შედიან ეგმონგის ჯგუფში;

საოპერაციო სამუშაო ჯგუფი ისწრაფვის, რათა შეუსაბამოს ფდდ განვითარების გეოლოგიებს და გრძელვადიან პოლიტიკურ პროექტებს;

სპეციალური მეცნიერულ-ტექნიკურ საშუალებათა ჯგუფი უწევს კონსულტაციებს და ტექნიკურ დახმარებას ფდდ არსებულ და ახალ წევრებს, რათა განავითარონ, ამრავლონ და განაახლონ მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებანი, იკვლევს კომპიუტერულ ეკრანებზე ტექსტურ მასალებს, რომლებიც შეიძლება გამოდგეს ანალიტიკური მუშაობისათვის.

ეგმონგის კომიტეტი წარმოადგენს საკონსულტაციო და საკოორდინაციო მექანიზმს ფდდ მეთაურებისა და ხუთი სამუშაო ჯგუფისათვის. მისი ძირითადი ფუნქციაა დაეხმაროს ეგმონგის ჯგუფს საქმიანობის ზოგიერთი სახეობის შესრულებაში; შიდა კოორდინაციიდან და ადმინისტრაციული კონსულტაციიდან სხვა საერთაშორისო ფორუმებზე წარმომადგენლობამდე.



კომიტეტში შედიან თავმჯდომარე, მისი ორი მოადგილე, გემოალნიშნული ხუთი სამუშაო ჯგუფისა და აზია-აფრიკის, ევროპის, ამერიკისა და ოკეანის რეგიონულ წარმომადგენლობათა თავმჯდომარეები. რეგიონული წარმომადგენლობანი გამოსხაგავენ „ეგმონტის“ წევრობის ძალას მსოფლიოს თითოეულ ნაწილში.

კომიტეტი და სამუშაო ჯგუფები იკრიბებიან წელიწადში სამჯერ, მათ შორის, პლენარულ სხდომებზე, რომელთა დროსაც ეგმონტის ჯგუფი ერთად იკრიბება. რამდენადაც ეგმონტის ჯგუფი ფორმალური გაერთიანებაა, მასში არ არის მელმეივი სამლიფნო, ადმინისტრაციული ფუნქციები სრულდება როგაციის საფუძველზე. გარდა მხარდაჭერის პოლიტიკისა, გემოალნიშნული სამუშაო ჯგუფები და ეგმონტის კომიტეტი გამოიყენებიან საერთო მუშაობისათვის.

ეგმონტის ჯგუფმა 2004 წლის 23 ივნისს მიიღო “განცხადება მიზნის შესახებ” განცხადებაში ნათქვამია:

ვალღარებთ რა ფულის წმენდის საერთაშორისო ხასიათს. ვიცნობიერებთ, რომ ფულის წმენდისადმი წინააღმდეგობის საქმეში მთელი მსოფლიოს სულ უფრო მეტი ქვეყ

ნის მთავრობები ამ დანაშაულებრივი საქმიანობის გახსნის მოვალეობებს აკისრებენ ფინანსურ დაწესებულებებსა და დანიშნულ ფინანსურ დაზვერვათა დანაყოფებს, ანუ ფდღს; რომლებსაც ევალეობათ მიიღონ, გააანალიზონ და გააერცელონ კომპეგენგურ ორგანოებს შორის ფინანსური ინფორმაციის ასეთი გახსნის მასალები;

იღენტიფიკაციაფყოთ გერორიზმის დაფინანსების როგორც განსაკუთრებულ პრობლემას და პრობლემის ზრდას, ისევე როგორც ფულის წმენდას, რომელიც გადაკვეთს ეროვნულ საზღვრებს ფინანსური სისგემის ფარგლებში;

მიგვაჩნია, რომ ფდღ დანაყოფები, რომლებიც მოქმედებენ თავიანთ უფლებამოსილებათა ფარგლებში – მიიღონ, გააანალიზონ და გააერცელონ დელიკატური ფინანსური განახსნები, გადაიქნენ დიდმნიშვნელოვან ინსტრუმენტებად გლობალურ ბრძოლაში გერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ, უდგანან რა მხარში ეროვნულ სამთავრობო სააგენგოებს:

დარწმუნებული ვართ, ფდღ დანაყოფებს შორის თანამშრომლობა გადაკვეთს საზღვრებს, აძლიერებს ცალკეული დანაყოფების ეფექტიანობას და შეაქვს წვლილი გლობალურ ბრძოლაში ფულის წმენდისა და გერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ;

გვახსოვს ფინანსური ინფორმაციის განახსნების დელიკატური ხასიათი და ფდღ მნიშვნელობა კონფიდენციალურობის შენარჩუნებას, ანალიზისა და გამოძიებისათვის, რომელსაც კომპეგენგური ორგანოები აგარებენ, ან სხვა მიზნებისათვის;

გვესმის, რომ ფდღ ეფექტიანი საერთაშორისო თანამშრომლობა ურთიერთნდობას უნდა ემყარებოდეს;

ვადასტურებთ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ეროვნული სამთავრობო სააგენგოების თვალსაჩინო როლს, ისეთებისა, როგორიც არის ფინანსთა და

იუსტიციის სამინისტროები, პოლიცია და უინანსური ზედამხედველობის ორგანოები, - მოკავშირენი ბრძოლაში ფულის წმენდისა და გერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ;

პერიოდულად ვხსნით პლენარულ სხდომებს, - ევმონგის ჯგუფის თაიბირის სახელით ცნობილს, - რათა განვიხილოთ ფულ-სათვის საინტერესო საკითხები და წაუახლისოთ საერთაშორისო თანამშრომლობა დაწესებულ დანაყოფებს შორის, რათა დახმარება და კონსულტაცია გავუწვიოთ ფულ-დანაყოფებს სამთავრობო სააგენტოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის განვითარებაში, რომლებიც დაინტერესებული არიან საერთაშორისო ბრძოლით შემოსავლების ლეგალიზაციისა და გერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ;

ლის შესაძლო გათეთრების საფრთხეს ქმნიდნენ. თავის პლენარულ სხლომაზე ფაგფ-მა ასევე ამოილო ნიგერია არამოთა-ნამშრომლე ქვეყნებისა და გერიგორიების (NCCTS) სიიდან. საბოლოოდ NCCTS სიაში დარჩა მხოლოდ ერთი ქვეყანა – მნიანმა. ფაგფ-ი მიესალმა წარმაგებებს, რომლებსაც მნიან-მას მთავრობამ მიიღწია ფგ/გდბ-ის ღონისძიებათა განხორცი-ელებაში, მაგრამ მტკიცელ მოითხოვა, შემღვომ გავრძელდეს რეფორმები ამ ქვეყანაში, რათა მომავალში შეიძლებოდეს მნიანმას სიიდან ამოლება. ისევე როგორც სიიდან ამოლებულ სხვა ქვეყნებში, ფაგფ-ი განაგრძობს სიგუაციის მონიგორინგს ნაურუსა და ნიგერიაში, სულ ცოგა, ერთ წელიწადს, რათა გა-აკონგროლოს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება.

NCCTS ღონისძიებანი ძალზე სასარგებლო გამოდგა. ფაგფ-მა მიმოიხილა 47 ქვეყანა და 1998 წლიდან 23 ქვეყანა შეიყვანა NCCTS სიაში, ამასთან, ეყრნდობოდა იდენგიფი-კაციას, მოხსენებებს საეჭვო ოპერაციების, კრიმინალიზა-ციას, უულის გათეთრების შესახებ და 23 ქვეყნის საერთა-შორისო თანამშრომლობის 2001"-2002 წლების მანძილზე. დღესდღეობით ამ სიაში არის მხოლოდ ერთი ქვეყანა. ყვე-ლა სხვა ქვეყანამ და გერიგორიამ მიილო და შეასრულა სამართლებრივი რეფორმები, რითაც მნიშვნელოვნად გაიძ-ლიერა პოზიციები და შესაძლებლობა, თანამშრომლობის საერთაშორისო ღონებე უულის გათეთრებისა და გერო-რიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში.

§8. მხარლასაჟერი მომსახურება და ზინანსური ანბარიშეზი

ფაგფ-ის მუშაობას კოორდინაციას უწევს და წარმარ-თავს ფაგფ-ის სამდივნო. ამ ბოლო წლების მანძილზე სამ-

ღივნოს მუშაობის მოცულობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა; 2005 წლის პლენარულ სხლომაზე, სამღივნოს საქმიანობის ღეგალური განხილვის შემდეგ, გაღაწყდა შგატში შეეყვანათ კილეე ორი აღმინისგრაგორი და გაეზარღათ ბიუჯეტი. სამღივნო შეღვება 12 წეერის, აღმასრულებელი მღივნის, სამი ძირითადი აღმინისგრაგორის, ხუთი აღმინისგრაგორის, ერთი აღმინისგრაგორის თანაშემწის, ორი თანაშემწისა და მღივნებისაგან. ფატფ-ის სამღივნოს ფუნქციაა, შეაღვინოს ქაღალღები პოლიგიკის შესახებ, რომლებსაც განხილავენ სამუშაო ჯგუფებში, პლენარულ სხლომებზე. მოაწყოს ურთიერთმხარღაჭერის მისიები და გამოუშვას ღამაგებითი მოხსენებანი. აღმასრულებელი მღივანი და მისი შგაგი ურთიერთობენ ფატფ-ის მრავალრიცხოვან პარგნიორებთან და წარმომაღვენლობენ ორგანიბაციას მიგინებებზე. ისინი განხილავენ პრესასთან კონგაქტებს, როყა ეს აუცილებელია.

ფატფ-ის ფონღებს ყოველწლიურად ავსებენ მისი წეერები „ოესღ“-ში შესაგანი თანხების სყალის შესაბამისად.

სამღივნოსა და სხვა მომსახურებაზე გასაწევი ხარჯები გათვალისწინებულია ფატფ-ის ბიუჯეტით, რომელიც გამოიყენება როგორც ამ ოპერაციების არხი. ეს სყალა ნაანგარიშევია ფორმულით, რომელიც ეკონომიკის სიღიღეს ითვალისწინებს.

„ოესღ“-ს არაწეერების შესაგანი ასევე იანგარიშება „ოესღ“ წეერთა სყალის მიხეღვით. ამ ორგანიბაციის ორ წეერს ასევე შეაქვს წვლილი ფატფ-ის ბიუჯეტში.

ფატფ-ის სრული ბიუჯეტი 2005-2006 საგაღასახაღო წლებისათვის ასახულია ცხრილში:

58. მხარდასაპერი მომსახურება
და ფინანსური ანგარიშები

ბიუჯეტის წყაროები	საგადასახადო 2005 წ.	საგადასახადო 2006 წ.
მუდმივი მტატის სარგოები	1 142 900	1323 300
ოფიციალური მტავრობა	220 000	225 000
კონსულტაციები, კონტრაქტები, დამხმარე მოწყობილობა და კონსერვაციები	4900	1000
შილება-დარბაზობის ხარჯები	1100	1000
ოპერატიული დანახარჯები	103 400	112 000
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განუთარების ორგანიზაციის შესვეურებზე გასაწევი ხარჯები	116 000	124 400
დოკუმენტაცია და ბიბლიოთეკა	1000	1000
კრებები, დოკუმენტები, თარგმანი და ინტერპრეტაცია	115 900	80 000
სხვადასხვა და გაუთვალისწინებელი ხარჯები	1800	1000
კაპიტალური ხარჯები	3000	1000
საინფორმაციო ხარჯები	30 000	30 000
შთლიანად:	1 740 100	1899 700

1. ფინანსური დაზვერვის დანაყოფები არსებითი კომპონენტია საერთაშორისო ბრძოლისა, რომელიც წარმოებს ფულის გათეთრების, გერორიზმის დაფინანსებისა და მათთან დაკავშირებული დანაშაულობების წინააღმდეგ. ფდლ-ს ადგილი კარგად არის ორგანიზებული ღონისძიებათა არსენალში სერიოზული დანაშაულობების წინააღმდეგ საბრძოლველად.

2. ფდლ შექმნა ხელს უწყობს სამი ძირითადი ფუნქციის შესრულებას – საექვო ოპერაციების ამსახველი ინფორმაციისა და სხვა ცნობების მიღებას, მათს ანალიზს და გავრცელებას. ეს გახდა ნაწილი საერთაშორისო სტანდარტისა და მას სტიმულს ანიჭებენ მთელი რიგი საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც ფინანსურ დანაშაულობებს ეხება. მაგრამ ფდლ აწყდება მთელ რიგ გამოწვევებს. ერთ-ერთი გამოწვევა გახლავთ ის, რომ არ არსებობს ხერხი, რომელიც ოპტიმალურს გახდიდა ფდლ მუშაობას. თითოეული ფდლ მომარჯვებული უნდა იყოს იმ ქვეყნის სპეციფიკურ სიტუაციას, რომელშიც იგი მოქმედებს. ისეთი ფაქტორები, როგორიც არის ფინანსურ დანაშაულობათა შედარებითი მნიშვნელობა და სტრუქტურა, მთავრობის მიზნები დამნაშავეობასთან ბრძოლაში, ამ ამოცანის შესასრულებლად საჭირო რესურსები, ქვეყნის ადმინისტრაციული სისტემა, - ყოველივე ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფდლ-ს შექმნისას.

3. არსებობს მოთხოვნები მუდმივი მზადყოფნისა დამნაშავეთა ქცევაში მომხდარი ცვლილებებისადმი. ამასთან დაკავშირებით ფდლ-ს წინაშე ამჟამად დადგა სპეციფიკური გამოწვევები, მაგალითად, საექვო ოპერაციის შესახებ შეგყობინების გაგზავნის მოვალეობის გაფართოება, რო-

მელსაც შეიძლება მოჰყვეს ფვ/გდბ სისტემის წარმატებული ფუნქციონირება.

4. მოხსენების მოვალეობის გავრცელება კაზინოებზე, ძვირადღირებული საქონლის დილერებსა და ბულაღგრებზე და სამართლებრივ პროფესიებზე. ძლიერ განსხვავდება იმ ცნობების თავისებურებებისაგან, რომლებსაც ფინანსური დაწესებულებანი წარადგენენ. კომპანიის და განსაკუთრებით გრასტის კომპონენტური სტრუქტურები სპეციალურ გამოცდილებას მოითხოვენ საქმეების გამოძიებაში. საჭიროა მნიშვნელოვანი რესურსების ინვესტირება ამ გიპის მუშაბაში და ძნელი, პასუხსაგები გადაწყვეტილებების მიღება ამ ახალი გიპის მოხსენებებში ჩაქსოვილი რესურსების ბალანსის მიმართ, როგორც უფრო გრადიციული გიპის მოხსენებებთან შესადარისა.

5. მესამე სპეციფიკური გამოწვევის არსია თანამშრომლობაში ფდდ ჩაბმის უნარის გაუმჯობესების საჭიროება. ფდდ დანაყოფების დინამიკურ ზრდას უკანასკნელი 15 წლის მანძილზე თან სდევს საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება ფინანსური დაზვერვის დანაყოფებს შორის. 30-ზე მეტი ფდდ-ს უნარი, შექმნან ქსელი და ერთმანეთს გაუზიარონ ფინანსური მონაცემები, ემყარება ინფორმაციის გაცვლის შეთანხმებულ პრინციპებს და საიმედო მექანიზმად გვევლინება ფინანსურ დანაშაულობებთან ბრძოლაში, რომელიც მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს.

6. განსახილველ დარგში ბოლო დროს მოპოვებული მიღწევების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევაა დასაძლევია. კერძოდ, სიძნელეს წარმოადგენს სამართლებრივ დაბრკოლებათა აღმოფხვრა ინფორმაციის გაცვლის, სისტემების განვითარება-გაუმჯობესების და კონფიდენციალურობის იმაღდროულად უზრუნველყოფის გზაზე.

7. ცვლილებები ფდდ მუშაობის ძირითად ნიშნად დარჩება მოძიავალშიც. თუმცა ფაგფ-ის ახალი რეკომენდაციების (2003) მიღება შეიძლება ამ დანაყოფების მიმართ გამოსა-

ყენებელი სტანდარტების დროებით სტაბილიზაციასაც მოწმობდეს და ფულის ვათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ასპექტები კვლავაც განვითარდება. მაგრამ ასევე დაიხვეწება დამინამავეთა ხერხები.

8. საერთაშორისო ორგანიზაციები მთელ რიგ ინსტრუმენტებს იყენებენ ფინანსური დაზვერვის დაწესებულებათა საქმიანობის სრულყოფისათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ფატფ-ი.

9. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ფინანსური დაზვერვის საერთაშორისო გაერთიანება “ეგმონგი”.

ეგმონგის ჯგუფის მიზანია, უზრუნველყოს ფინანსურ დაზვერვათა ფორუმი, რათა სრულყოს ეროვნული პროგრამების მხარდაჭერა დანამაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციისადმი წინააღმდეგობაში.

ეს მხარდაჭერა მოითხოვს, გაფართოვდეს ფინანსური დაზვერვის ინფორმაციის გაცელა, გაუმჯობესდეს ფულ პერსონალის ცოდნა, გამოცდილება და უნარ-ჩვევები, დამყარდეს ფინანსურ დაზვერვათა საჯარო კავშირები.

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული
ღამნაშავეობის წინააღმდეგ**

მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის
2000 წლის 15 ნოემბრის 55/25 რეზოლუციით

მუხლი 1

მიზანი

წინამდებარე კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს თანამშრომლობას ტრანსნაციონალური ორგანიზებული ღამნაშავეობის უფრო ეფექტიანი თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მუხლი 2

ტერმინთა განმარტება

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

a) “ღამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი” ნიშნავს ერთი ან რამდენიმე სერიოზული დანაშაულის ან ამ კონვენციის შესაბამისად ასეთად მიჩნეული დანაშაულობების ჩასადენად დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულ და შეთანხმებულად მოქმედ სტრუქტურული ფორმის მქონე, სამი ან მეტი პირისაგან შემდგარ ჯგუფს, რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღოს ფინანსური ან სხვა მატერიალური გამოორჩენა.

b) “სერიოზული დანაშაული” ნიშნავს დანაშაულს, რომელიც ისჯება მაქსიმალური ვადის თავისუფლების აღკვეთით, არანაკლებ ოთხი წლისა ან სასჯელის უფრო მკაცრი ზომით;

c) “სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი” ნიშნავს ჯგუფს, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცი-

ლებელი. ფორმალურად განაწილდეს როლები მის წევრთა შორის. წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა;

d) “ქონება” ნიშნავს ნებისმიერი სახის აქტივებს, მატერიალურს ან არამატერიალურს, მოძრავს ან უძრავს, გამოსატულს ნივთებით ან უფლებებით, აგრეთვე იურიდიულ დოკუმენტებს ან აქტებს, რომლებიც ადასტურებენ ამგვარ აქტივებზე უფლებას ან მათდამი ინტერესს;

e) “დანაშაულით მიღებული შემოსავალი” ნიშნავს რაიმე დანაშაულის ჩადენის გზით პირდაპირ ან არაპირდაპირ შეძენილ ან მიღებულ ნებისმიერ ქონებას;

f) “ყადაღა” ან “ამოღება” ნიშნავს ქონების გადაცემის, გარდაქმნის, გასხვისების ან გადაადგილების დროებით აკრძალვას. ანდა სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით მასზე დროებით კონტროლის განსორციელებას ან მის დროებით დაუფლებას;

g) “კონფისკაცია” ნიშნავს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით ქონების საბოლოო ჩამორთმევას;

h) “ძირითადი სამართალდარღვევა” ნიშნავს ნებისმიერ სამართალდარღვევას, რომლის შედეგადაც მოპოვებულ იქნა შემოსავალი, რომლის მიმართ შეიძლება განსორციელდეს ამ კონვენციის მე-6 მუხლში აღნიშნული, დანაშაულის შემადგენლობის წარმომშობი ქმედობა;

i) “კონტროლირებადი მიწოდება” ნიშნავს მეთოდს, რომლის დროსაც რაიმე დანაშაულის გამოძიებისა და ამ დანაშაულის მონაწილე პირთა გამოვლენის მიზნით ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების ნებართვით და ზედამხედველობით, დასაშვებია უკანონო ან საეჭვო ტვირთის პარტიების შემოტანა ან გატანა;

j) “ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზა-

ცია” ნიშნავს რომელიმე რეგიონის სუვერენულ სახელმწიფოთა მიერ შექმნილ ორგანიზაციას, რომელსაც მისმა წევრმა სახელმწიფოებმა გადასცეს უფლებამოსილებანი საკითხებზე, ეს კონვენცია რომ არეგულირებს, და რომელიც ჯეროვნად უნდა იყოს უფლებამოსილი, მისი შიდა პროცედურების შესაბამისად, სელი მოაწეროს ამ კონვენციას, მოასდინოს მისი რატიფიცირება, მიიღოს, დაამტკიცოს ან შეუერთდეს მას; ამ კონვენციაში მითითება – “მონაწილე სახელმწიფოები” ესე-ბა ასეთ ორგანიზაციებს მათი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3

გამოყენების სფერო

1. წინამდებარე კონვენცია, თუ მასში სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გამოიყენება, რათა აღიკვეთოს, გამოძიებულ იქნეს და სისხლის სამართლებრივ დევნას დაექვემდებაროს:

a) დანაშაულობანი, რომლებიც ასეთად არის მიჩნეული ამ კონვენციის მე-5, მე-6, მე-8 და 23-ე მუხლების შესაბამისად;

b) სერიოზული დანაშაულობანი, როგორც ისინი განსაზღვრულია ამ კონვენციის მე-2 მუხლით, თუ ეს დანაშაული ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს და ჩადენილია დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნისათვის, დანაშაული ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს, თუ იგი:

a) ჩადენილია ერთზე მეტ სახელმწიფოში;

b) ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი მომზადების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობის ან კონტროლის არსებითი ნაწილი ხორციელდება სხვა სახელმწიფოში;

c) ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა ერთზე მეტი სახელმწიფოში; ან

d) ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი არსებითი შედეგები ვლინდება მეორე სახელმწიფოში.

მუხლი 4

სუვერენიტეტის დაცვა

1. მონაწილე სახელმწიფოები ასრულებენ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სხვა სახელმწიფოთა სამინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების დაცვით.

2. ამ კონვენციაში არაფერი არ ანიჭებს მონაწილე სახელმწიფოს უფლებას, ახორციელებდეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავის იურიდიული ძალის და/ან ფუნქციებს, რომლებიც განეკუთვნება ამ სახელმწიფოს ორგანოების კომპეტენციას ამ უკანასკნელის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5

დანაშაუვითა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობის კრიმინალიზაცია

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ისეთ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედობების სისხლისსამართლებრივად დასჯადად გამოცხადებისათვის:

a) ქვემოთ დასახელებულ ქმედობათაგან ორივე ან ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის მიუკუთვნებლად და დანაშაულებრივი ქმედობის ფაქტობრივი ჩადენის მიუხედავად:

i) ერთ ან რამდენიმე პირთან შეთანხმება სერიოზული დანაშაულის ჩასადენად, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ფინანსური ან სხვა მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით, თანაც თუ ამას ითვალისწინებს შიდა კანონმდებლობა, ასევე იგულისხმება ერთ-ერთი მონაწილის მიერ რაიმე ქმედობის ფაქტობრივი განხორციელება შეთანხმების რეალიზაციისათვის. ანდა დანაშაუვითა ორგანიზებული ჯგუფის დაკავშირებულობა;

ii) ქმედობა ჩადენილი რომელიმე პირის მიერ, რომელსაც

გაცნობიერებული აქვს ან დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანი და საერთო დანაშაულებრივი საქმიანობა, ან ამ ჯგუფის განზრახვა, ჩაიდინოს შესაბამისი დანაშაულობანი, და აქტიურ მონაწილეობას იღებს:

a. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობაში;

b. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის სხვა სასეობათა საქმიანობაში იმის გაცნობიერებით, რომ მისი მონაწილეობა ხელს შეუწყობს ბემოაღნიშნული დანაშაულებრივი მიზნის მიღწევას;

b) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით ჩადენილი სერიოზული დანაშაულის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, ხელშეწყობა, წაქეზება, დახმარება ან რჩევის მიცემა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წინასწარი შეცნობა, განზრახვა, ჩანაფიქრი, მიზანი ან შეთანხმება შეიძლება დადგინდეს საქმის ობიექტური ფაქტობრივი გარემოებებით.

3. მონაწილე სახელმწიფოები, რომელთა შიდა კანონმდებლობა ამ მუხლის (I)(a)(i) პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობის ელემენტად მოიაზრებს დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფთან კავშირს, უზრუნველყოფენ შიდა კანონმდებლობით ამ ტიპის ქმედობათა სერიოზული დანაშაულობების კატეგორიისათვის მიკუთვნებას. ეს მონაწილე სახელმწიფოები, აგრეთვე მონაწილე სახელმწიფოები, რომელთა შიდა კანონმდებლობა ამ მუხლის (I)(a)(i) პუნქტის მიზნებისთვის დანაშაულის შემადგენლობის ელემენტად მიიჩნევს შეთანხმების რეალიზაციის მიზნით ქმედობის ფაქტობრივ განსორციელებას, აცნობებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ამ კონვენციის ხელმოწერის ანდა მისი რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების თუ შეერთების დოკუმენტის დეკონირებისას.

მუხლი 6

დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის კრიმინალიზაცია

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო თავისი შიდა კანონმდებლობის ფუძემდებლური პრინციპების შესაბამისად, იღებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს, რათა სისხლის სამართლის წესით დასჯადად იქნეს აღიარებული შემდეგი განზრახ ჩადენილი ქმედობები:

a)(i) წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების კონვერსია ან გადაცემა ამ ქონების დანაშაულებრივი წყაროს დაფარვის ან დამალვის მიზნით ან ნებისმიერი იმ პირისათვის დახმარების გაწევის მიზნით, რომელიც ძირითადი სამართალდარღვევის ჩადენის მონაწილეა, რათა მან თავი აარილოს პასუხისმგებლობას საკუთარი ქმედობებისათვის.

ii) წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ნამდვილი ხასიათის, წყაროს, ადგილის, განკარგვის სურსის, გადაადგილების, ქონებაზე უფლების ან მისი კუთვნილების დაფარვა ან დამალვა.

b) საკუთარი სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპების დაცვის პირობით:

i) ქონების შექმნა, ფლობა ან გამოყენება, თუ მისი მიღების მომენტისათვის ცნობილია, რომ ასეთი ქონება დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალია.

ii) ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულობების ჩადენის მიზნით შეკავშირება ან შეთანხმებაში მონაწილეობა, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის მცდელობა, დახმარება, წაქეზება, ხელის შეწყობა ან დანაშაულის ჩადენის თაობაზე რჩევის მიცემა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის განხორციელების ან გამოყენების მიზნებისათვის:

a) თითოეული მონაწილე სახელმწიფო ისწრაფვის. გამო-

იყენოს ამ მუხლის პირველი პუნქტი ყველაზე ფართო წრის ძირითადი სამართალდარღვევების მიმართ;

b) თითოეული მონაწილე სახელმწიფო ძირითადი სამართალდარღვევების რიცხვს მიაკუთვნებს ამ კონვენციის მე-2 მუხლში განსაზღვრულ ყველა სერიოზულ დანაშაულს, ასევე ამ კონვენციის მე-5, მე-8 და 23-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულობებს, თუ მონაწილე სახელმწიფოების კანონმდებლობა შეიცავს კონკრეტული სამართალდარღვევების ჩამონათვალს, ასეთ შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს სულ ცოტა, ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულობების ამომწურავ ნუსხას.

c) (b) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ძირითადად სამართალდარღვევებად იგულისხმება როგორც შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ ჩადენილი დანაშაულობები. ამასთან, მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ ჩადენილი დანაშაული ძირითად სამართალდარღვევად ჩაითვლება მხოლოდ იმ პირობით, თუ მოცემული ქმედობა სისხლის სამართლებრივად დასჯადია იმ სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით, რომელშიც ის იქნა ჩადენილი, და სისხლის სამართლით დასჯადი იქნებოდა ამ მუხლის შემფარდებელი მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობით, ეს ქმედობა რომ ამ მონაწილე სახელმწიფოში ყოფილიყო ჩადენილი;

d) ყოველი მონაწილე სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს წარუდგენს ამ მუხლის დებულებათა რეალიზაციისთვის აუცილებელი თავისი ნორმატიული აქტების ტექსტებს, აგრეთვე მათი ნებისმიერი შემდგომი ცვლილების ტექსტებს ან მათ აღწერას.

e) თუ ამას მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის ფუძემდებლური პრინციპი, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული დანაშაულობები არ ეხება პირებს, რომელთაც ჩაიდინეს

ძირითადი სამართალდარღვევა.

1) წინასწარი შეცნობა, განზრახვა და მიზანი, როგორც ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დანაშაულის შემადგენლობის ელემენტები. შეიძლება, დადგინდეს საქმის ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე.

მუხლი 7

ფულადი სახსრების ლეგალიზაციის
წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო:

a) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს შიდა რეგულირების ბედამხედველობის ყოვლისმომცველ რეჟიმს ბანკების და არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების მიმართ, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ორგანოების მიმართაც, რომლებიც ფულის ლეგალიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით დაუცველნი არიან, იმ მიზნით, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, გამოავლინონ და არ დაუშვან ფულის ლეგალიზაციის არაეთიკური ფორმა; ამასთან, ასეთი რეჟიმი უნდა ემყარებოდეს ისეთ მოთხოვნებს, როგორცაა კლიენტის პიროვნების დადგენა, მონაცემთა რეესტრის წარმოება და საექვო გარიგებებზე ინფორმაციის წარმოდგენა;

b) უზრუნველყოფს იმ ადმინისტრაციული, მარეგულირებელი, სამართალდამცავი და სხვა ორგანოების (მათ შორის სასამართლო ორგანოების – თუ ეს შეესაბამება შიდა კანონმდებლობას) თანამშრომლობას და ინფორმაციის გაცვლას ეროვნულ და საერთაშორისო დონებზე, რომლებიც ებრძვიან ფულადი სახსრების ლეგალიზაციას, ამ კონვენციის მე-18 და 27-ე მუხლებისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ამისათვის, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ შეიძლება, შექმნას ფინანსური ინფორმაციის ოპერატიული სამსახური, რომელიც უკანონო ლეგალიზაციის პოტენციურ შემთხვევებში იმოქმედებს, როგორც ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის და გავრცელებების

ბის ეროვნული ცენტრი;

2. მონაწილე სახელმწიფოები განისილავენ საკითხს, თუ როგორ გამოიყენონ პრაქტიკულად შესაძლო ღონისძიებები მათ საზღვარზე გააღვილებსას ნაღდი ფულადი სახსრების და შესაბამისი საბრუნავი ინსტრუმენტების გამოვლენის და კონტროლის მიზნით, იმ პირობით, რომ შესაბამისი ინფორმაცია დანიშნულებისამებრ იქნება გამოყენებული და კანონიერი კაპიტალის გადაადგილება მოხდება შეუფერხებლად. ერთ-ერთი ასეთი ზომა შეიძლება იყოს ისეთი მოთხოვნის დაწესება, რომლის თანახმად, ფიზიკური პირები და კომერციული ორგანიზაციები ვალდებული იქნებიან, განაცხადონ საზღვარზე მნიშვნელოვანი მოცულობის ნაღდი ფულის გადაგზავნისა და შესაბამისი საბრუნავი ინსტრუმენტების გადატანის შესახებ.

3. ამ მუხლის დებულებებით გათვალისწინებული მედამსხვედველობისა და რეგულირების შიდა რეჟიმის დადგენისას მონაწილე სახელმწიფოებს წინადადება ეძლევათ, ამ კონვენციის სხვა მუხლების შეუღასხავად, ისეღმძღვანეღონ შესაბამისი რეგიონული, რეგიონთშორისი და მრავალმხრივი ორგანიზაციების შესაბამისი ინიციატივებით, რომლებიც მიმართულია ფულადი სახსრების ლეგალიზაციის წინააღმდეგ.

4. ფულადი სახსრების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ, განავითარონ და წაასღლისონ გლობალური, რეგიონული, სუბრეგიონული და ორმხრივი თანამშრომლობა როგორც სასამართლო და სამართალდამცავ ორგანოებს, ასევე საფინანსო რეგულირების ორგანოებს შორის.

მუხლი 8

კორუფციის კრიმინალიზაცია

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ისეთ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რომლებიც შეიძლება დასჭირდეს განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედობების სისხლის სამარ-

თლის წესით დასჯადად გამოცხადებისათვის.

ა) სახელმწიფო მოხელისათვის, პირადად ან შუამავლების მეშვეობით, რაიმე არამართლმომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება თვით ამ მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის სასარგებლოდ, იმისათვის, რომ ამ მოხელემ მისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას განასორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განსორციელებისაგან;

ბ) პირადად ან შუამავლების მეშვეობით რაიმე არამართლმომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა სახელმწიფო მოხელის მიერ, პირადად ამ მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის სასარგებლოდ იმისათვის, რომ მოხელემ თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას განასორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განსორციელებისაგან.

2. ყოველი მონაწილე სახელმწიფო განიხილავს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომების მიღების შესაძლებლობას, რომ სისხლის სამართლის წესით დასჯადად იქნეს აღიარებული ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ქმედობები, როცა ამ ქმედობებს ჩადის უცხო ქვეყნის საჯარო მოხელე ან საერთაშორისო სამოქალაქო მოსამსახურე. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ასევე განიხილავს შესაძლებლობას, სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობად ცნოს კორუფციის სხვა ფორმებიც.

3. თითოეული მონაწილე სახელმწიფო ღებულობს აგრეთვე ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს იმისათვის, რომ სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობად იქნეს მიჩნეული ამ მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე დანაშაულში თანამონაწილეობა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის და წინამდებარე კონვენციის მე-9 მუხლის მიზნებისთვის, "საჯარო მოხელე" წარმოადგენს პირს, რომელიც ასრულებს საჯარო მომსახურებას.

როგორც ეს განსაზღვრულია მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით, რომელშიც მოცემული პირი ასრულებს ამგვარ ფუნქციებს და როგორც ეს გამოიყენება ამ მონაწილე სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

მუხლი 9

კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ზომები

1. ამ კონვენციის მე-8 მუხლში მითითებული ზომების დამატებით ყოველი მონაწილე სახელმწიფო, იმდენად, რამდენადაც საჭიროა და შეესაბამება მის სამართლის სისტემას, იღებს საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ ან სხვა ეფექტიან ზომებს, რომლებიც ხელს შეუწყობს კეთილსინდისიერების დამკვიდრებას, აგრეთვე კორუფციის თავიდან აცილების გამოვლენას და კორუფციისათვის დასჯას საჯარო მოხელეთა შორის.

2. ყოველი მონაწილე სახელმწიფო იღებს ზომებს, რათა უზრუნველყოს თავისი ორგანოების ეფექტიანი მოქმედება საჯარო მოხელეთა შორის კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენის და მისთვის დასჯის საქმეში; ამასთან მიანიჭოს ასეთ ორგანოებს საკმარისი დამოუკიდებლობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული არამართლზომიერი გეგავენა მათ მოქმედებაზე.

მუხლი 10

იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო, თავისი სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით, იღებს ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ იურიდიული პირების პასუხისმგებლობის დადგენას იმ სერიოზულ დანაშაულობებში მონაწილეობისათვის, რომლებთანაც არის დაკავშირებული დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი, აგრეთვე ამ კონვენციის მე-5, მე-6 და მე-8 მუხლების შესაბამისად ასეთად მიჩნეულ დანაშაულობებში მონაწილეობისათვის.

2. მონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივი პრინციპების დაცვის პირობით, იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი ან ადმინისტრაციული.

3. ამგვარი პასუხისმგებლობის დაკისრება არ აყენებს მიანს დანაშაულობათა ჩამდენი ფიზიკური პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

4. თითოეული მონაწილე სახელმწიფო, ამ მუხლის შესაბამისად პასუხისმგებლობაში მიცემულ პირთა მიმართ უზრუნველყოფს ეფექტიანი, პროპორციული და შემაკავებელი ზემოქმედების მქონე სისხლის სამართლის ან არასისხლისსამართლებრივი სანქციების. მათ შორის, ფულადი სანქციების გატარებას.

მუხლი 11

სისხლისსამართლებრივი დევნა, სასამართლო გადაწყვეტილების და სანქციის გამოტანა

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო რაიმე დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც ასეთად არის მიჩნეული ამ კონვენციის მე-5, მე-6, მე-8 და 23-ე მუხლებით, ითვალისწინებს ისეთი სანქციების გამოყენებას, რომლებიც შეეფარდება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

2. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ცდილობს გამოიყენოს მისი შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციული უფლებამოსილება ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობის მიმართ იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი სამართალდამცავი ზომების ეფექტიანობა და მხედველობაში იქნეს მიღებული ამ დანაშაულობათა ჩადენის თავიდან აცილების საჭიროება.

3. იმ დანაშაულობების მიმართ, რომლებიც ასეთად არის მიჩნეული წინამდებარე კონვენციის მე-5, მე-6, მე-8 და 23-ე მუხლებით, თითოეული მონაწილე სახელმწიფო, მისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად და დაცვის მხარის უფლებების

ჯეროვანი გათვალისწინებით, იღებს სათანადო ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასამართლომდე ან საკასაციო საჩივრის თუ პროტესტის გამო გადაწყვეტილების მიღებამდე გათავისუფლების წესები ითვალისწინებდეს ბრალდებულის დასწრებას სისხლის სამართალწარმოების შემდგომ სტადიებზე.

4. თითოეული მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ მისმა სასამართლოებმა და სხვა კომპეტენტურმა ორგანოებმა გაითვალისწინონ ამ კონვენციით განსაზღვრული დანაშაულობების სიმძიმე ისეთი საკითხის განსილვისას, როგორცაა აღნიშნული დანაშაულობებისათვის მსჯავრდადებულ პირთა ვადამდე ან პირობით გათავისუფლება.

5. თითოეული მონაწილე სახელმწიფო, საჭიროების შემთხვევაში, შიდა კანონმდებლობის თანახმად ადგენს სანდამშულობის ხანგრძლივ ვადას სისხლის სამართლის დევნის აღპერისათვის ყველა იმ დანაშაულთან მიმართებაში, რომელსაც მოიცავს ეს კონვენცია, და სანდამშულობის კიდევ უფრო ხანგრძლივ ვადას მაშინ, როდესაც ეჭვიმტანილი თავს არიდებს მართლმსაჯულებას.

6. ამ კონვენციაში არაფერი არ ხელყოფს პრინციპს, რომლის თანახმადაც წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობებისა და პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ან შეამსუბუქებელი გარემოებების ან მართლზომიერების განმსაზღვრელი სხვა სამართლებრივი პრინციპების დადგენა შედის ყოველი მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის სფეროში, ხოლო ასეთი დანაშაულობების სისხლისსამართლებრივი დევნა და დასჯა ხორციელდება ამ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12

კონფისკაცია და ყადაღა

1. მონაწილე სახელმწიფოები იყენებენ მათი შიდასამართლებრივი სისტემების ჩარჩოებში შესაძლებელი მაქსიმალური

მოცულობით ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გასდეს:

ა) ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობების გზით მიღებული შემოსავლების ან შესაბამისი ღირებულების ქონების კონფისკაციის უზრუნველსაყოფად;

ბ) ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობების ჩასადენად გამოყენებული ან გამოსაყენებლად განკუთვნილი ქონების, მოწყობილობის ან სხვა საშუალებების კონფისკაციის უზრუნველსაყოფად.

2. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გასდეს ამ მუსლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი საგნის შესაძლო იდენტიფიცირების, ძებნის, დაყადაღების ან ამოღების შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის, მისი საბოლოო კონფისკაციის მიზნით.

3. თუ დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლები ნაწილობრივ ან მთლიანად გარდაქმნილი ან გადაქცეულია სხვა ქონებად, მაშინ ამ მუსლში მითითებული ზომები გამოიყენება ასეთი ქონების მიმართ.

4. თუ დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლები დაემატა კანონიერი წყაროებით შექმნილ ქონებას, მაშინ ყადაღის დადებასა ან ამოღებაზე უფლებამოსილების შეუკვეცავედ კონფისკაციას ექვემდებარება ქონების ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დანაშაულის გზით მიღებული დამატებული შემოსავლების შეფასებულ ღირებულებას.

5. იმ მოგების თუ სხვა სარგის მიმართ, რომლებიც მიღებულია დანაშაულებრივი შემოსავლებისაგან, იმ ქონებისაგან, რომელსაც გადაიქცა ან გარდაიქმნა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლები, ან მიღებულია ქონებისაგან, რომელსაც შეერია ამგვარი შემოსავლები, ისევე ტარდება ამ მუსლით გათვალისწინებული ზომები, როგორც დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლების მიმართ.

6. წინამდებარე კონვენციის ამ მუსლისა და მე-13 მუსლის

მიზნებისათვის, თითოეული მონაწილე სახელმწიფო თავის სასამართლოებსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს ანიჭებს უფლებამოსილებას, გამოსცენ საბანკო, საფინანსო და კომერციული დოკუმენტების წარდგენის ან მათზე ყადაღის დადების შესახებ დადგენილებები. მონაწილე სახელმწიფოებმა, საბანკო საიდუმლოს შენახვის აუცილებლობის მოტივით არ უნდა აარიდონ თავი ამ პუნქტში აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას.

7. მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ, განიხილონ იმ მოთხოვნის დაწესების შესაძლებლობა, რომლის მიხედვით დანაშაულის ჩამდენმა უნდა დაასაბუთოს საეარაუდოდ დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლების და იმ ქონების კანონიერი წარმომავლობა, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება იმგვარად, როგორც ეს შეესაბამება შიდა კანონმდებლობის პრიციპებს და სასამართლო თუ სხვა წარმოების ხასიათს.

8. ამ მუხლის დებულებები არ განიმარტება, როგორც კეთილსინდისიერი მესამე მხარეების უფლებების შემლახველი.

9. ამ მუხლიდან არაფერი ხელყოფს პრინციპს, რომლის თანახმადაც მასში ასახული ზომები განისაზღვრება და სორციელდება მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად და მათი დაცვის პირობით.

მუხლი 13

საერთაშორისო თანამშრომლობა კონფისკაციის მიზნით

1. თუ მონაწილე სახელმწიფომ, მეორე მონაწილე სახელმწიფოსაგან, რომელსაც ამ კონვენციით გათვალისწინებულ რომელიმე დანაშაულზე აქვს იურისდიქცია, მიიღო თხოვნა ამ კონვენციის მე-12 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დანაშაულებრივი გზით მიღებული და მის ტერიტორიაზე არსებული შემოსავლების, ქონების, მოწყობილობის და დანაშაულის ჩადენის სხვა საშუალებების კონფისკაციის შესახებ, მაშინ იგი, თავისი შიდა სამართლებრივი სისტემით გათვალისწინე-

ბული მაქსიმალური შესაძლებლობით:

a) გადასცემს ამ მოთხოვნას თავის კომპეტენტურ ორგანოებს კონფიდენციალის დადგენილების მისაღებად, და ასეთი დადგენილების გამოტანის შემთხვევაში, მოჰყავს იგი სისრულეში; ან

b) უგზავნის კომპეტენტურ ორგანოებს კონფიდენციალის დადგენილებას, რომელიც გამოტანილია თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფო სასამართლოს მიერ ამ კონვენციის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რათა იგი შესრულდეს იმ ფარგლებში, როგორც ეს მითითებულია თხოვნაში და იმდენად, რამდენადაც იგი ესება თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავლებს, ქონებას, მოწყობილობას, დანაშაულის ჩადენის სხვა საშუალებებს, რომლებიც მითითებულია მე-12 მუხლის პირველ პუნქტში.

2. წინამდებარე კონვენციის გათვალისწინებულ რომელიმე დანაშაულზე იურისდიქციის მქონე მონაწილე სახელმწიფოსაგან თხოვნის მიღების შემდეგ, თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფო იღებს ზომებს ამ კონვენციის მე-12 მუხლში მითითებული დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების, იარაღების და დანაშაულის ჩადენის სხვა საშუალებების გამოვლენის, მოძებნის, დაყადაღების ან ამოღებისათვის, მათი საბოლოო კონფიდენციალის მიზნით, რომლის შესახებაც დადგენილება გამოაქვს თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს ან. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს.

3. კონვენციის მე-18 მუხლის დებულებები გამოიყენება *mutatis mutandis* ამ მუხლთან მიმართებაში. მე-18 მუხლის მე-15 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის დამატებით ამ მუხლის საფუძველზე გაგზავნილი თხოვნა უნდა შეიცავდეს:

a) ამ მუხლის (1)(a) პუნქტით გათვალისწინებული თხოვნის შემთხვევაში, კონფიდენციალის ქვემდებარე ქონების აღწერას და

განცხადებას იმ ფაქტების გადმოცემითურთ, რომლებსაც იმოწმებს მონაწილე სახელმწიფო და რომლებიც აუცილებელია მონაწილე სახელმწიფოს მიერ სათანადო დადგენილების გამოსატანად მისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად;

b) ამ მუხლის (1)(b) პუნქტით გათვალისწინებული თსოვნის შემთხვევაში, - თსოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს მიერ გამოტანილი კონფისკაციის დადგენილების იურიდიულად დასაშვებ ასლს, რომელსაც ეფუძნება თსოვნა; განცხადებას ფაქტების გადმოცემითურთ და ინფორმაციას დადგენილების შესრულების მოცულობის შესახებ;

c) ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული თსოვნის შემთხვევაში, - განცხადებას იმ ფაქტებითურთ, რომლებსაც ეყრდნობა მონაწილე სახელმწიფო, და გასატარებელი ზომების აღწერას.

4. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს ან ზომებს თსოვნის მიმღები სახელმწიფო იღებს მისი შიდა კანონმდებლობის დებულებების და საპროცესო ნორმების შესაბამისად ან თსოვნის გამგზავნ სახელმწიფოსთან დადებული, შესასრულებლად სავალდებულო, ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებების შეთანხმების ან მორიგებების შესაბამისად.

5. ყოველი მონაწილე სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს წარუდგენს თავისი კანონების დაწესების ტექსტს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ მუხლის დებულებების განხორციელებას, აგრეთვე ასეთი კანონების და წესების ყოველი მომდევნო ცვლილების ტექსტს ან მათ აღწერას.

6. თუ რომელიმე მონაწილე სახელმწიფო გამოთქვამს სურვილს განაპირობოს ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული ზომების განხორციელება შესაბამისი ხელშეკრულების არსებობით, მაშინ ეს მონაწილე სახელმწიფო ასეთი ხელშეკრულების დადებისას წინამდებარე კონვენციას განისი-

ლავს, როგორც აუცილებელ და საკმარის სახელშეკრულებო სამართლებრივ საფუძველს.

7. მონაწილე სახელმწიფოებს შეიძლება, უარი ეთქვათ თანამშრომლობაზე ამ მუხლის თანახმად, თუ დანაშაული, რომელსაც ეხება თხოვნა, არ არის ამ კონვენციით გათვალისწინებული.

8. ამ მუხლის დებულებები არ განიმარტება, როგორც კეთილსინდისიერი მესამე მხარეების უფლებების შემლახველი.

9. მონაწილე სახელმწიფოები განიხილავენ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების, შეთანხმებების და მორიგების დადების შესაძლებლობას წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

მუხლი 14

დანაშაულის გზით მიღებული კონფისკაციაქმნილი შემოსავლების ან ქონების განკარგვა

1. კონვენციის მე-12 მუხლით ან მე-13 მუხლის პიოველი პუნქტით გათვალისწინებული წესით კონფისკაციაქმნილ დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავლებს ან ქონებას მონაწილე სახელმწიფო განკარგავს თავისი შიდა კანონმდებლობის და ადმინისტრაციული პროცედურების შესაბამისად.

2. სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად გამოგზავნილ თხოვნაზე რეაგირებისას, მონაწილე სახელმწიფოები, რამდენადაც დაშვებულია მათი კანონმდებლობით, იუ ეს მითითებულია თხოვნაში. უპირატესობას ანიჭებენ კონფისკაციაქმნილი დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ან ქონების დაბრუნებას თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოსთვის, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს კომპენსაციის გადახდა დაზარალებულთათვის ან ასეთი შემოსავლები თუ ქონება დაუბრუნოს კანონიერ მესაკუთრეებს.

3. კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ გამოგზავნილ თხოვნაზე რეაგირებისას, მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ცალკე განიხილოს შეთანხმებების ან მორიგებების დადების შესაძლებლობა იმის თაობაზე, რომ:

ა) დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლები ან ქონება, ანდა მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები ან მათი ნაწილი გადაირიცხოს ამ კონვენციის 30-ე მუხლის მე-2 (c) პუნქტის მიზნებისათვის ან გადაეცეს ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ მებრძოლ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს;

ბ) თავიანთი შიდა კანონმდებლობით ან ადმინისტრაციული პროცედურებით დადგენილი წესით, დანაშაულის გზით მოპოვებული შემოსავლების ან ქონების, ანდა მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხების ნაწილი გადაეცეთ სხვა მონაწილე სახელმწიფოებს რეგულარულ ან ერთჯერად საფუძველზე.

მუხლი 15

იურისდიქცია

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო ღებულობს ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს იმისათვის, რომ დაწესდეს მისი იურისდიქცია ამ კონვენციის მე-5, მე-6, მე-8 და 23-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულობებზე, როდესაც:

ა) დანაშაული ჩადენილია ამ მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

ბ) დანაშაული ჩადენილია გეგმე, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში ატარებდა ამ მონაწილე სახელმწიფოს დროშას ან საპაერო ხოლმალდზე, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის რეგისტრირებულია ამ მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. კონვენციის მე-4 მუხლის დაცვის პირობით, მონაწილე სახელმწიფოს ასევე შეუძლია თავისი იურისდიქცია დააწესოს აღნიშნულ დანაშაულობებზე, როდესაც:

a) დანაშაული ჩადენილია ამ მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქის წინააღმდეგ;

b) დანაშაული ჩადენილია ამ მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქის მიერ ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ, რომელიც, ჩვეულებრივ, მის ტერიტორიაზე ცხოვრობს;

c) დანაშაული:

i) არის ერთი იმ დანაშაულთაგანი, რომელიც გათვალისწინებულია ამ კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით და ჩადენილია მისი ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, მის ტერიტორიაზე სერიოზული დანაშაულის ჩადენის მიზნით;

ii) არის ერთი იმ დანაშაულთაგანი, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-6 მუხლის (I)(b)(ii) პუნქტით და ჩადენილია მისი ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, მის ტერიტორიაზე ამ კონვენციის მე-6 მუხლის (I)(a)(I)-(ii) ან (I)(b)(i) პუნქტებში აღნიშნული რომელიმე დანაშაულის ჩადენის მიზნით.

3. კონვენციის მე-16 მუხლის მე-10 პუნქტის მიზნებისთვის, თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება, საჭირო გახდეს ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულობებზე თავისი იურისდიქციის დასაწესებლად, როდესაც დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი იმყოფება მის ტერიტორიაზე და იგი არ გადასცემს ასეთ პირს მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ის მისი მოქალაქეა.

4. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია აგრეთვე მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულობებზე თავისი იურისდიქციის დასაწესებლად, როდესაც დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი იმყოფება მის ტერიტორიაზე და იგი არ გადასცემს მას.

5. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომელიც ასორციელებს

თავის იურისდიქციას ამ მუხლის პირველი ან მეორე პუნქტის თანახმად, იღებს შეტყობინებას ან სხვა გზით იგებს, რომ ერთი ან რამდენიმე სხვა მონაწილე სახელმწიფო ასორციელებს გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას ან სასამართლო წარმოებას იგივე ქმედობასთან დაკავშირებით, ამ მონაწილე სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები, სათანადო შემთხვევებში, ატარებენ კონსულტაციებს მოქმედებათა კოორდინირებისათვის.

6. საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმებისთვის ზიანის მიუყენებლად, ეს კონვენცია არ გამოირიცხავს მონაწილე სახელმწიფოს მიერ დაწესებული ნებისმიერი სისხლის სამართლის იურისდიქციის განხორციელებას თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16

გადაცემა

1. ეს მუხლი გამოიყენება კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულობათა მიმართ, ან იმ შემთხვევებში, როდესაც კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის (a) ან (b) ქვეპუნქტებში მითითებული დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდა დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი, და პირი, რომლის გადაცემასაც მოითხოვენ, იმყოფება თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, იმ პირობით, რომ ქმედობა, რომლის გამოც მოთხოვნილია გადაცემა, დასჯადია როგორც თხოვნის გამგზავნი, ისე თხოვნის მიმღები სახელმწიფოების კანონმდებლობით.

2. თუ თხოვნა გადაცემის შესახებ ეხება რამდენიმე ცალკეულ სერიოზულ დანაშაულს, რომელთაგან ზოგიერთი არ შედის ამ მუხლის მოქმედების სფეროში, მაშინ თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, აღნიშნული მუხლის მოქმედება გაავრცელოს ამ უკანასკნელ დანაშაულობათა მიმართაც.

სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ანდა მოქმედი გადაცემის ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც, *inter alia*, უნდა ადგენდეს გადასაცემად აუცილებელ სასჯელის მინიმალურ ზომას და იმას, თუ რა შემთხვევაში შეუძლია თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს უარი თქვას გადაცემაზე.

8. ამ მუხლში აღნიშნულ ნებისმიერ დანაშაულთან მიმართებაში, მონაწილე სახელმწიფოები, თავიანთი შიდა კანონმდებლობის დაცვის პირობით, მთელი ძალისხმევით ცდილობენ, დააჩქარონ გადაცემის პროცედურები და გაამარტივონ მასთან დაკავშირებული მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნები.

9. შიდა კანონმდებლობისა და გადაცემის ხელშეკრულების დებულებათა გათვალისწინებით, თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს, თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით, მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამას გადაუდებელი სასიათის გარემოებები მოითხოვს, შეუძლია დააკავოს მის ტერიტორიაზე მყოფი პირი, რომლის გადაცემასაც ითხოვენ, ან მიიღოს სხვა ზომები გადაცემის პროცედურის სტადიაზე ამ პირის დასწრების უზრუნველსაყოფად.

10. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება დანაშაულში ეჭვმიტანილი, უარს ამბობს მის გადაცემაზე ამ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით მსოლოდ იმ მოტივით, რომ იგი მისი მოქალაქეა. ეს მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მოთხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე გადასცეს საქმე თავის კომპეტენტურ ორგანოებს სისხლისსამართლებრივი დევნისათვის. ეს ორგანოები იღებენ გადაწყვეტილებას და ახორციელებენ საქმის წარმოებას ისევე, როგორც განახორციელებდნენ შიდა კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი სხვა საშიში სასიათის დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ. ეს მონაწილე სახელმწიფოები ურთიერთთანამშრომლობენ. კონკრეტულად, პროცესუალურ

და მტკიცებულებებთან დაკავშირებულ საკითხებში სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

11. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მონაწილე სახელმწიფო შიდა კანონმდებლობით უფლებამოსილია, გადასცეს ან სხვა წესით გასცეს თავისი მოქალაქე მხოლოდ იმ პირობით, რომ მას დააბრუნებენ მონაწილე სახელმწიფოში იმ დანაშაულზე სასამართლო განსილვის ან საქმის წარმოების შედეგად გამოტანილი სასჯელის მოხდისათვის, რომლის გამოც მოთხოვნილ იქნა ამ პირის გადაცემა ან გაცემა, და ეს მონაწილე სახელმწიფო და გადაცემის მომთხოვნი სახელმწიფო შეთანხმდნენ ამ და სხვა პირობებზე, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლიან. მაშინ ასეთი პირობით გაცემა ან გადაცემა საკმარისია ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად.

12. თუ თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფო უარს ამბობს სასჯელის აღსრულების მიზნებისთვის ძებნილის გადაცემაზე იმ მოტივით, რომ აღნიშნული პირი მისი მოქალაქეა, ასეთ შემთხვევაში მოცემული სახელმწიფო შიდა კანონმდებლობის შესაბამისად განიხილავს თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობით დაკისრებული სასჯელის ან მისი ნაწილის აღსრულების შესაძლებლობას საკუთარ ტერიტორიაზე.

13. ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც სორციელდება წარმოება ამ მუხლში აღნიშნულ რომელიმე დანაშაულთან დაკავშირებით, გარანტირებული აქვს სამართლიანი მოპყრობა წარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის ყველა ის უფლება და გარანტია, რომელსაც ითვალისწინებს მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც იგი იმყოფება.

14. ამ კონვენციაში არაფერი უნდა განიმარტოს, როგორც გადაცემის აუცილებლობის ვალდებულება. თუ თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს აქვს არსებითი საფუძველი, ივა-

რაუდოს, რომ პირის გადაცემის თხოვნა მიზნად ისახავს მის დევნას ან დასჯას, სქესის, რასის, რელიგიის, მოქალაქეობის, ეთნიკური წარმომავლობის ან პოლიტიკურ შეხედულებათა გამო ან თუ გადაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილება აენებს ამ პირის მდგომარეობას რომელიმე აღნიშნული მიზეზის გამო.

15. მონაწილე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ უარი განაცხადონ გადაცემაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ დანაშაული უკავშირდება ფისკალურ საკითხებს.

16. გადაცემაზე უარის თქვამდე, თხოვნის მიმღები სახელმწიფო, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციებს ატარებს მოთხოვნის გამგზავნ სახელმწიფოსთან, რათა ამ უკანასკნელს ჰქონდეს სრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები და ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია თხოვნაში გადმოცემულ საკითხებთან.

17. მონაწილე სახელმწიფოები იჩენენ ძალისხმევას, დადონ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები ან მორიგებები გადაცემის ეფექტიანობის ამაღლებისა და განსორციელების მიზნით.

მუხლი 17

მსჯავრდადებულ პირთა გადაცემა

მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ, დადონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები ან მორიგებები მათ ტერიტორიაზე იმ პირთა გადაყვანის შესახებ, რომელთაც ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მისჯილი აქვთ პატიმრობა ან სხვა სახეობის თავისუფლების აღკვეთა, რათა მათ სასჯელი მოისადონ ამ მონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

მუხლი 18

სამართლებრივი ურთიერთდახმარება

1. მონაწილე სახელმწიფოები ერთმანეთს უწევენ მაქსიმალურ

2. სამართლებრივი დახმარება ხორციელდება თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს შესაბამისი კანონების, ხელშეკრულებების, შეთანხმებების და მორიგებების, შესაბამისად გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და სასამართლო წარმოების სფეროში ისეთ დანაშაულობებთან დაკავშირებით, რომელთა ჩადენაც თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში იწვევს იურიდიული პირის პასუხისმგებლობას, თანახმად ამ კონვენციის მე-10 მუხლისა.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დახმარება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი შემდეგი მიზნით:

- a) ცალკეულ პირთაგან მოწმის ჩვენების ან განცხადებების მიღება;
- b) სასამართლო დოკუმენტის გადაცემა;
- c) ჩხრეკა, ამოღება ან დაყადაღება;
- d) ობიექტებისა და ადგილის დათვალიერება;
- e) ინფორმაციის, ნივთიერი მტკიცებულებების და ექსპერტთა შეფასებების წარდგენის უზრუნველყოფა;
- f) შესაბამისი, მათ შორის, სამთავრობო, საბანკო, საფინანსო. კორპორაციული ან კომერციული დოკუმენტების დედ-

ნების ან მათი დამოწმებული ასლების წარდგენა;

გ) დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების, ქონების, დანაშაულის ჩადენის საშუალებების ან სხვა ნივთმტკიცებების გამოვლენა ან ძებნა;

h) თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ორგანოებში შესაბამის პირთა ნებაყოფლობით გამოცხადების ხელშეწყობა;

i) ყველა სხვა სასის დასმარების აღმოჩენა, რომელიც არ ეწინააღმდეგება თხოვნის მიმღები სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობას.

4. შიდა კანონმდებლობის დაურღვევლად, მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს, წინასწარი თხოვნის გარეშე, შეუძლია გადასცეს ინფორმაცია სისხლისსამართლებრივი საკითხების შესახებ სხვა მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს იმ შემთხვევაში, თუ თელის, რომ ასეთი ინფორმაცია დასმარებას გაუწევს ამ ორგანოს გამოძიების და სისხლის სამართალწარმოების განხორციელებისა და წარმატებით დასრულების საქმეში ანდა შესაძლებლობას მისცემს. წარმოადგინოს მოთხოვნა ამ კონვენციით გათვალისწინებული წესით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გადაცემა ხორციელდება ინფორმაციის მიმწოდებელ სახელმწიფოში მიმდინარე გამოძიებისა და სისხლის სამართალწარმოებისათვის ზიანის მიყენების გარეშე. ინფორმაციის მიმღები კომპეტენტური ორგანოები ვალდებული არიან, თუ მიმწოდებელი სახელმწიფო ამას მოითხოვს, არ გაახმაურონ მიწოდებული ინფორმაცია, თუნდაც დროებით, ან დაემორჩილონ მიმწოდებელი სახელმწიფოს მიერ მითითებულ შეზღუდვებს მის გამოყენებასთან დაკავშირებით. მაგრამ მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს თავის ტერიტორიაზე სამართალწარმოების პროცესში გამოააშკარაოს ინფორმაცია, რომელიც ამართლებს ბრალდებულს. ამ შემთხვევაში, ინფორმაციის გამოაშკარავებამდე, ინფორმაციის მიმღები მო-

ნაწილედ სახელმწიფო გამოაშკარაებების შესახებ წინასწარ აცნობებს ინფორმაციის მიმწოდებელ მონაწილედ სახელმწიფოს და, თუკი მიღებულია მისი თხოვნა, ატარებს კონსულტაციებს ინფორმაციის მიმწოდებელ მონაწილედ სახელმწიფოსთან. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც წინასწარ შეტყობინება შეუძლებელია, ინფორმაციის მიმღები მონაწილედ სახელმწიფო გამოაშკარაებების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელ მონაწილედ სახელმწიფოს აცნობებს დაუყოვნებლივ.

6. ამ მუხლის დებულებები ზიანს არ აყენებს ნებისმიერი სხვა, ორმხრივი თუ მრავალმხრივი, ხელშეკრულების ვალდებულებებს, რომლებიც არეგულირებენ ან დაარეგულირებენ მთლიანად ან ნაწილობრივ სამართლებრივ ურთიერთდახმარებას.

7. ამ მუხლის მე-9 - 29-ე პუნქტები გამოიყენება აღნიშნული მუხლის საფუძველზე გაგზავნილი თხოვნის მიმართ, თუ შესაბამისი მონაწილედ სახელმწიფოები დაკავშირებული არ არიან სამართლებრივი ურთიერთდახმარების რაიმე ხელშეკრულებით. თუ ეს მონაწილედ სახელმწიფოები დაკავშირებული არიან ასეთი ხელშეკრულებით, გამოიყენება ხელშეკრულების შესაბამისი დებულებები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი შეთანხმდებიან მათ ნაცვლად ამ მუხლის მე-9 - 29-ე პუნქტების გამოყენებაზე. მონაწილედ სახელმწიფოებს დაბეჯითებით მოეთხოვებათ, გამოიყენონ ეს პუნქტები, თუ ეს ხელს შეუწყობს თანამშრომლობას.

8. მონაწილედ სახელმწიფოები უარს ვერ იტყვიან ამ მუხლის თანახმად სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევაზე საბანკო საიდუმლოს მოტივით.

9. მონაწილედ სახელმწიფოებს შეუძლიათ, უარი თქვან ამ მუხლის თანახმად სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევაზე შესაბამისი ქმედობის დანაშაულად ორმხრივი აღიარების არარსებობის საფუძველზე. ამასთან, თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის, გაუწი-

ოს დახმარება, რომლის მოცულობასაც განსაზღვრავს თავის შეხედულებისამებრ იმისგან დამოუკიდებლად, ითვლება თუ არა დანაშაულად შესაბამისი ქმედობა თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით.

10. პირი, რომელიც დაკავებულია ან სასჯელს იხდის ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე და რომლის ყოფნა სხვა მონაწილე სახელმწიფოში საჭიროა პიროვნების დადგენის, ჩვენების მიცემის ან სხვა დახმარებისათვის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის ან სამართალწარმოების პროცესში მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით, შეიძლება გადაყვანილ იქნეს ამ მონაწილე სახელმწიფოში, თუ:

a) ეს პირი ძალდაუტანებლად იძლევა ამაზე გაცნობიერებულ თანხმობას;

b) ორივე მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანოებმა მიაღწიეს შეთანხმებას პირობებზე, რომლებიც მისაღებია ამ მონაწილე სახელმწიფოებისთვის.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტის მიზნებისთვის:

a) მონაწილე სახელმწიფო, რომელშიც გადაყვანილ იქნა პირი, უფლებამოსილი და ვალდებულია პირი ჰყავდეს პატიმრობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაწილე სახელმწიფო, საიდანაც გადაყვანილ იქნა ეს პირი, იძლევა სხვაგვარ უფლებამოსილებას ან აყენებს სხვაგვარ მოთხოვნას;

b) მონაწილე სახელმწიფო, რომელშიც გადაყვანილ იქნა პირი, ვალდებულია დაუყოვნებლივ დააბრუნოს პირი იმ მონაწილე სახელმწიფოს განკარგულებაში, საიდანაც იგი იქნა გადაყვანილი, თანახმად ორივე მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღწეული წინასწარი თუ სხვა შეთანხმებისა;

c) მონაწილე სახელმწიფოს, რომელშიც გადაყვანილ იქნა პირი, არ აქვს უფლება მოსთხოვოს მონაწილე სახელმწიფოს, საიდანაც გადაყვანილ იქნა პირი, გადაცემის წესით წარმოების დაწყება ამ პირის უკან დასაბრუნებლად;

d) ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაყვანილი პირი იმყოფებოდა პატიმრობაში მონაწილე სახელმწიფოში, სადაც გადაყვანილ იქნა, მას ჩაეთვლება სასჯელის მოსდის საერთო ვადაში.

12. პირი, მისი მოქალაქეობის მიუხედავად, არ ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ დევნას, დაკავებას, დასჯას ან თავისუფლების შეზღუდვას მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე მის გადაყვანამდე ჩადენილი ქმედობების ან მსჯავრდების გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულზე თანხმობას გამოთქვამს მონაწილე სახელმწიფო, საიდანაც ხდება პირის გადაყვანა.

13. თითოეული მონაწილე სახელმწიფო ნიშნავს ცენტრალურ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელი და უფლებამოსილია ურთიერთდახმარების გაწევის თხოვნის მიღებასა და შესრულებაზე ან ასეთი თხოვნის კომპეტენტური ორგანოებისთვის გადაგზავნაზე. მონაწილე სახელმწიფოს, თუ მასში არსებობს სპეციალური რეგიონი ან ტერიტორია სამართლებრივი ურთიერთდახმარების აღმოჩენის განსხვავებული სისტემით, შეუძლია, დანიშნოს განსაკუთრებული ცენტრალური ორგანო, რომელიც შეასრულებს იგივე ფუნქციას ამ რეგიონთან ან ტერიტორიასთან მიმართებაში. ცენტრალური ორგანოები უზრუნველყოფენ მიღებული თხოვნების ოპერატიულ და სათანადო შესრულებას ან გადაგზავნას. თუ ცენტრალური ორგანო კომპეტენტურ ორგანოს შესასრულებლად უგზავნის თხოვნას, მან უნდა უზრუნველყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ თხოვნის ოპერატიული და სათანადო შესრულება. მონაწილე სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციის სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტის დეპონირებისას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ეცნობება ამ მიზნით დანიშნული ცენტრალური ორგანოს შესახებ. სამართლებრივი ურთიერთდახმარების თხოვნები და მასთან დაკავშირებული შეტყობინებები ეგზავნება მონაწილე

სახელმწიფოს მიერ დანიშნულ ცენტრალურ ორგანოებს. ეს მოთხოვნა არ უგულებელყოფს მონაწილე სახელმწიფოს უფლებას, მოითხოვოს, რომ ასეთი თხოვნები და შეტყობინებები მიაწოდონ დიპლომატიური არსებით, სოლო მონაწილე სახელმწიფოების თანხმობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით, თუ ეს შესაძლებელია.

14. თხოვნა უნდა მომზადდეს წერილობითი ფორმით, ან სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა წერილობითი ჩანაწერის გაკეთების საშუალებას. ამასთან, იგი შედგენილი უნდა იყოს თხოვნის მიმღები სახელმწიფოსათვის სასურველ ენაზე და აკმაყოფილებდეს ისეთ კრიტერიუმებს, რომლებიც თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს მისცემს მისი ავთენტურობის დადგენის საშუალებას. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ამ კონვენციის სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტის დეპონირებისას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ეცნობება თითოეული მონაწილე სახელმწიფოსათვის სასურველი ენის ან ენების შესახებ. საგანგებო გარემოებების არსებობისას, თუ მონაწილე სახელმწიფოები ამაზე შეთანხმდებიან, თხოვნა შეიძლება გაკეთდეს ბეპირი ფორმითაც, ამასთან, დაუყოვნებლივ უნდა დადასტურდეს წერილობითი ფორმით.

15. სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევის თხოვნაში ჩაიწერება:

a) მთხოველი ორგანოს დასახელება;

b) გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასამართლო წარმოების საგანი და სასიათი, რომელსაც შეეხება თხოვნა; ასევე ამ გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასამართლო წარმოების განმასხორციელებელი ორგანოს დასახელება და ფუნქცია;

c) შესაბამისი ფაქტების მოკლე აღწერა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თხოვნა ეხება სასამართლო დოკუმენტის გადაცემას;

d) მოთხოვნილი დახმარების აღწერა და დაწერილებითი ინფორმაცია ნებისმიერ კონკრეტულ პროცედურაზე, რომლის შესრულების უზრუნველყოფაც სურს მთხველ მონაწილე სახელმწიფოს;

e) შეძლებისდაგვარად, ნებისმიერი შესაბამისი პირის პირადი ადგილსამყოფლისა და მოქალაქეობის ამსახველი მონაცემები;

1) გამოთხოვილი მტკიცებულებების, ინფორმაციის ან განსახორციელებელი ღონისძიებების მიზანი.

16. თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, თუ ეს აუცილებელია თხოვნის შესასრულებლად მისი შიდა კანონმდებლობის თანახმად, ან თუ ეს ინფორმაცია ხელს შეუწყობს თხოვნის შესრულებას.

17. თხოვნა სრულდება თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მასთან შესაბამისობის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, თხოვნაში მითითებული პროცედურების დაცვით.

18. თუ პირი იმყოფება მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე და უნდა მოსმენილ იქნეს მისი, როგორც მოწმის ან ექსპერტის ჩვენება მეორე მონაწილე სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებში, პირველ სახელმწიფოს შეუძლია. თუ ეს შესაბამეა მისი შიდა კანონმდებლობის ფუძემდებლურ პრინციპებს და ამის შესახებ არსებობს მეორე მონაწილე სახელმწიფოს თხოვნა, ნება დართოს მოსმენის ჩატარებაზე ვიდეოკონფერენციის მეშვეობით, თუ შესაბამისი პირის პირადად გამოცხადება თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ არის შესაძლებელი ან სასურველი. მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ მოსმენა ტარდება თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს სასამართლო ორგანოს მიერ თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს წარმომადგენელთა თანდასწრებით.

19. თსოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფო გადასცემს და მოისმარს თსოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ან მტკიცებულებებს მსოლოდ იმ გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დენის ან სასამართლო წარმოებისთვის, რომელიც მითითებულია თსოვნაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თსოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოსგან მიღებულია წინასწარი თანსმობა. ეს პუნქტი ხელს არ უშლის თსოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს, საქმის წარმოებისას გამოააშკარაოს ის ინფორმაცია ან მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს. ამ შემთხვევაში, ინფორმაციის ან მტკიცებულებების გამოაშკარავებამდე, თსოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფო გამოაშკარავების შესახებ წინასწარ აცნობებს თსოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს და, თუკი მიღებულია მისი თსოვნა, ატარებს კონსულტაციებს თსოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოსთან. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც წინასწარ შეტყობინება შეუძლებელია, თსოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფო გამოაშკარავების შესახებ თსოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს აცნობებს დაყოვნების გარეშე.

20. თსოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, თსოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს მოსთხოვოს, რომ ამ უკანასკნელმა დაიცვას თსოვნის არსებობის ფაქტის და შინაარსის კონფიდენციალურობა იმის გამოკლებით, როაც აუცილებელია თსოვნის შესასრულებლად. თუ თსოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს არ შეუძლია კონფიდენციალურობის დაცვა, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თსოვნის გამგზავნი სახელმწიფოს.

21. სამართლებრივ ურთიერთდასმარებაზე დასაშვებია უარის თქმა:

a) თუ თსოვნა არ იყო წარმოდგენილი ამ მუხლის დებულებების შესაბამისად;

b) თუ თსოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფო მიიჩნევს,

რომ თხოვნის შესრულებამ შეიძლება ავნოს მის სუვერენიტეტს. უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან სხვა მნიშვნელოვან სასიცოცხლო ინტერესებს;

c) თუ თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა მის ორგანოებს უკრძალავს თხოვნაში აღნიშნული ღონისძიების განსორციელებას ნებისმიერ მსგავს დანაშაულთან დაკავშირებით, ეს დანაშაული რომ ყოფილიყო მისი იურისდიქციის ფარგლებში საგამოძიებო, სისხლისსამართლებრივი დენის ან სასამართლო წარმოების ქვეშეობაში;

d) თუ სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ თხოვნის შესრულება ეწინააღმდეგება თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემას.

22. მონაწილე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, უარი თქვან სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ დანაშაული შეიძლება დაკავშირებული იყოს საგადასახადო საკითხებთანაც.

23. ნებისმიერი უარი სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევაზე უნდა იყოს მოტივირებული.

24. თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფო სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევის თხოვნას ასრულებს რაც შეიძლება მოკლე ვადებში და, რამდენადაც შესაძლებელია, სრულად ითვალისწინებს ნებისმიერ ზღვრულ ვადებს, რომლებსაც ითხოვს მონაწილე სახელმწიფო და რომლებიც უნდა იყოს მოტივირებული, უმჯობესია, თვით თხოვნაში. თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფო პასუხობს თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს გონივრულ შეკითხვას მოთხოვნის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. თუ მოთხოვნილი დახმარება საჭირო აღარ არის, თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფო ამის შესახებ სასწრაფოდ ატყობინებს თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს.

25. თხოვნის მიმღებმა მონაწილე სახელმწიფომ სამართლებრივი ურთიერთდახმარების აღმოჩენა შეიძლება გადაავადოს

იმ საფუძველზე, რომ ეს ხელს შეუშლის მიმდინარე გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას ან სასამართლო წარმოებას.

26. ამ მუხლის 21-ე პუნქტის მიხედვით თხოვნის შესრულებაზე უარის თქმამდე ან ამ მუხლის 25-ე პუნქტის მიხედვით თხოვნის შესრულების გადავადებამდე, თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფო კონსულტაციას ატარებს თხოვნის გამგზავნ მონაწილე სახელმწიფოსთან, რათა განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია დახმარების გაწევა ასეთ ვადებში და ისეთი პირობებით, რომლებიც საჭიროდ მიაჩნია თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს. თუ თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფო თანახმაა დახმარებაზე ასეთი პირობებით, მაშინ იგი იცავს მოცემულ პირობებს.

27. ამ მუხლის მე-12 პუნქტის გამოყენებისათვის ბიანის მიუყენებლად მოწმე, ექსპერტი ან სხვა პირი, რომელიც თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით, თანახმაა, მისცეს ჩვენება საქმის წარმოების მსვლელობის დროს ან დაეხმაროს გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას ან სასამართლო წარმოებას თხოვნის გამგზავნი წამყვანი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არ ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ დევნას, დაკავებას, დასჯას ან თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვას ამ ტერიტორიაზე იმ მოქმედების, უმოქმედობის ან მსჯავრდების გამო, რომელიც მოხდა თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოდან მის წამოსვლამდე. პირადი უსაფრთხოების ეს გარანტია წყდება, თუ მოწმე, ექსპერტი ან სხვა პირი შემდგომი თხოვნილი დღის ან მონაწილე სახელმწიფოებს შორის შეთანხმებული სხვა ვადის განმავლობაში, დაწყებული იმ დღიდან, როდესაც ასეთ პირს ოფიციალურად ეცნობა, რომ მისი დასწრება აღარ სჭირდებათ სასამართლო ორგანოებს. კქონდა თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა, მაგრამ მაინც დარჩა ამ ტერიტორიაზე ნებაყოფლობით, ან დატოვების შემდეგი კვლავ დაბრუნდა უკან თავისი ნებით.

28. თსოვნის შესრულებასთან დაკავშირებულ ჩვეულებრივ სარჯებს ფარავს თსოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფო, ვარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები სხვაგვარად შეთანხმდნენ. თუ თსოვნის შესრულებისთვის საჭიროა ან საჭირო გახდება არსებითი ან განსაკუთრებული სარჯები, მაშინ მონაწილე სახელმწიფოები აწყობენ კონსულტაციებს, რათა განსაზღვრონ თსოვნის შესრულების პირობები, ასევე სარჯების დაფარვის წესი.

29. თსოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფო:

a) თსოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს წარუდგენს სამთავრობო მასალების და დოკუმენტების ასლებს ან ინფორმაციას, რომლებიც მას გააჩნია და რომლებიც მისი შიდა კანონმდებლობით ხელმისაწვდომია საჯაროდ გაცნობისათვის;

b) თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია, თსოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს წარუდგინოს, მთლიანად ან ნაწილობრივ, მის მიერ განსაზღვრული პირობებით, ნებისმიერი სამთავრობო მასალების და დოკუმენტების ასლები ან ინფორმაცია, რომლებიც მას გააჩნია და რომლებიც მისი შიდა კანონმდებლობით დასურულია – არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

30. მონაწილე სახელმწიფოები განიხილავენ, საჭიროების კვალობაზე, როგორ შეუძლიათ, დადონ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამება ამ მუხლის მიზნებს, უზრუნველყოფენ მის პრაქტიკულ მოქმედებას ან განამტკიცებენ მის დებულებებს.

მუხლი 19

ერთობლივი გამოძიება

მონაწილე სახელმწიფოები განიხილავენ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების ან მორიგებების დადების შესაძლებლობას, რომელთა საშუალებითაც დაინტერესებულ კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ, შექმნან ერთობლივი

საგამოძიებო ორგანოები იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას ან სასამართლო წარმოებას ერთ არ რამდენიმე სასხელმწიფოში. ასეთი შეთანხმების ან მორიგების არარსებობისას, ერთობლივი გამოძიება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შესაბამისი მონაწილე სასხელმწიფოები უზრუნველყოფენ იმ მონაწილე სასხელმწიფოს სუვერენიტეტის სრულ პატივისცემას, რომლის ტერიტორიაზეც უნდა ჩატარდეს ასეთი გამოძიება.

მუხლი 20

გამოძიების სპეციალური მეთოდები

1. თითოეული მონაწილე სასხელმწიფო, თუ ეს დაშვებულია მისი შიდა სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპებით, თავის შესაძლებლობათა ფარგლებში და შიდა კანონმდებლობით დადგენილი წესით, იღებს ზომებს, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ მის კომპეტენტურ ორგანოებს შეეძლოს კონტროლირებადი მიწოდების დანიშნულებისამებრ გამოყენება და, თუ საჭიროდ ჩათვლის, გამოძიების სხვა მეთოდების – ელექტრონული მეთვალყურეობის ან მეთვალყურეობის სხვა ფორმების, მათ შორის აგენტურული ოპერაციების გამოყენება. მისსავე ტერიტორიაზე ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის წარმოების მიზნით.

2. ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულობათა გამოძიების მიზნებისთვის მონაწილე სასხელმწიფოებს წინადადება ეძლევათ, საჭიროების შემთხვევაში, დადონ შესაბამისი ორმსრივი და მრავალმსრივი შეთანხმებები და მორიგებები გამოძიების სპეციალური მეთოდების გამოყენების შესახებ საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის კონტექსტით. ეს ხელშეკრულებები და შეთანხმებები იღება და სრულდება სასხელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპის სრული დაცვით და ხორციელდება მუსტად ამ შეთანხმებათა ან მორი-

გებათა პირობების შესაბამისად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული შეთანხმების ან მორიგების არარსებობისას, საერთაშორისო დონეზე გამოცემის ასეთი სპეციალური მეთოდების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, და შეიძლება, ითვალისწინებდნენ ფინანსურ მორიგებებსა და ურთიერთგაგებას დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა მიერ იურისდიქციის განსორციელების მიმართ.

4. დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოების თანხმობით, საერთაშორისო დონეზე კონტროლირებადი მიწოდებების გამოყენების გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს ისეთ მეთოდებს, როგორც არის ტვირთის ხელში ჩაგდება და ხელუსლებლად დატოვება ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღება ან შეცვლა.

მუხლი 21

სისხლის სამართალწარმოების გადაცემა

მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულობებთან დაკავშირებული სისხლის-სამართლებრივი დევნა ერთმანეთს გადასცენ მაშინ, როდესაც ეს შედის მართლმსაჯულების ჯეროვანი განსორციელების ინტერესებში საქმეთა გაერთიანების მიზნით, კერძოდ ისეთ საქმეებზე, რომლებიც რამდენიმე სახელმწიფოს იურისდიქციასთან არის დაკავშირებული.

მუხლი 22

ნასამართლობის გათვალისწინება

თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, მიიღოს ასეთი საკანონმდებლო ან სხვა ბოძები, იმ პირობებით და მიზნებით, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს, რათა ამ კონვენციაში აღნიშნული დანაშაულობების მიმართ სისხლის სამართალწარმოებაში გათვალისწინებულ იქნეს დანაშაულში ეჭვმიტანილი

პირის ნასამართლობა, რომელიც წარმოიშვა სხვა სახელმწიფოში ამ პირის მსჯავრდებულად ცნობის შედეგად.

მუხლი 23

მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის კრიმინალიზაცია

თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რაც შეიძლება საჭირო გახდეს, რათა სისხლის სამართლებრივად დასჯადად იქნეს აღიარებული განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედობები:

a) ფიზიკური ძალის, მუქარის ან დაშინების გამოყენება ან არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება, ყალბი ჩვენების მიცემაზე დაყოლიების ან ჩვენების მიცემაში ან მტკიცებულების წარდგენაში ჩარევის მიზნით, ამ კონვენციით გათვლიწინებული დანაშაულობების თაობაზე მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში.

b) ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობების თაობაზე მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში მოსამართლის ან სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებაში ჩარევის მიზნით ფიზიკური ძალის, მუქარის ან დაშინების გამოყენება. ეს ქვეპუნქტი ხელს არ უშლის მონაწილე სახელმწიფოს – იქონიოს კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს სხვა კატეგორიის მოსელეთა დაცვას.

მუხლი 24

მოწმეთა დაცვა

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, იღებს სათანადო ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს სისხლის სამართალწარმოების პროცესში იმ მოწმეთა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ნათესავებისა და ახლობლების შესაძლო შურისძიების ან დაშინებისაგან

დაცვას, რომლებიც იძლევიან ჩვენებას ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულობებთან დაკავშირებით.

2. ბრალდებულის უფლებებისთვის, მათ შორის სამართლიანი სამართალწარმოების უფლებისათვის ზიანის მიუყენებლად ეს ზომები, *inter alia*, შეიძლება იყოს შემდეგი:

a) ისეთი პროცედურების დადგენა, რომლებიც უზრუნველყოფს აღნიშნულ პირთა ფიზიკურ დაცვას, როგორცაა, მაგალითად, იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი და შესაძლებელია. მათი სხვა საცხოვრებელ ადგილას გადაყვანა და, თუ საჭიროება მოითხოვს, მათი პიროვნებისა და ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის არგასმაუერება ან შეზღუდული გასმაუერება;

b) ისეთი პროცესუალური ნორმების დაწესება, რომლებიც უზრუნველყოფს მოწმის უსაფრთხოების დაცვით ჩვენების მიცემას, როგორცაა, მაგალითად, ვიდეოკავშირის ან სხვა ადეკვატური კომუნიკაციის ტექნოლოგიის გამოყენება.

3. მონაწილე სახელმწიფოები განიხილავენ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირთა სხვა საცხოვრებელ ადგილას გადაყვანის შესახებ უცხოეთის სახელმწიფოებთან მორიგებების ან შეთანხმებების დადების შესაძლებლობას.

4. ამ მუხლის დებულებები გამოიყენება დაზარალებულთა მიმართაც, იმდენად, რამდენადაც ისინი არიან მოწმეები.

მუხლი 25

დაზარალებულთა დახმარება და დაცვა

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო, შესაძლებლობის ფარგლებში, იღებს ზომებს, რომლებიც აუცილებელია ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობების შედეგად დაზარალებული პირებისათვის დახმარების აღმოსაჩენად და მათ დასაცავად, განსაკუთრებით, როდესაც ადგილი აქვს შურისძიებით დამუქრებას ან დაშინებას.

2. თითოეული მონაწილე სახელმწიფო ადგენს სათანადო

პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობების ჩადენის შედეგად დაზარალებულ პირებს კომპენსაციით და რესტიტუციით.

3. თითოეული მონაწილე სახელმწიფო, მისი შიდა კანონმდებლობის დაცვის პირობით, დაზარალებულებს უქმნის შესაძლებლობას, გამოსატონ და ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებები დანაშაულობების ჩამდენ პირთა მიმართ სისხლის სამართალწარმოების შესაბამის ეტაპებზე, დაცვის მსარის უფლებათა შეუღასაყად.

მუხლი 26

სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის გაფართოებისკენ მიმართული ზომები

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს სათანადო ზომებს იმ პირთა წასასაღისებლად, რომლებიც მონაწილეობენ ან მონაწილეობდნენ დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებში, რათა მათ:

a) წარუდგინონ კომპეტენტურ ორგანოებს, გამოძიებისა და მტკიცებულებათა მოპოვების მიზნებისთვის, სასარგებლო ინფორმაცია;

i) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის საიდენტიფიკაციო მონაცემების, სასიათის, შემადგენლობის, სტრუქტურის, ადგილსამყოფლის ან საქმიანობის შესახებ;

ii) დამნაშავეთა სხვა ორგანიზებულ ჯგუფებთან კავშირის, მათ შორის, საერთაშორისო კავშირების შესახებ;

iii) იმ დანაშაულობათა შესახებ, რომლებიც ჩაიდინეს ან შეიძლება ჩაიდინონ დამნაშავეთა ორგანიზებულმა ჯგუფებმა.

b) აღმოუჩინონ კომპეტენტურ ორგანოებს ფაქტობრივი კონკრეტული დასმარება, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფებისთვის რესურსების და დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ჩამორთმევას.

2. თითოეული მონაწილე სახელმწიფო განიხილავს იმის შესაძლებლობას, რომ შესაბამის შემთხვევებში, შემსუბუქდეს იმ ბრალდებული პირის სასჯელი, რომელიც არსებითად თანამშრომლობს ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებზე გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის განმასრულებელ ორგანოებთან.

3. თითოეული მონაწილე სახელმწიფო, მისი შიდა კანონმდებლობის ფუძემდებლური პრინციპების შესაბამისად, განიხილავს იმის შესაძლებლობას, რომ პირს, რომელიც არსებითად თანამშრომლობს ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებზე გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის განმასრულებელ ორგანოებთან, მიენიჭოს იმუნიტეტი სისხლისსამართლებრივი დევნისაგან.

4. აღნიშნულ პირთა დაცვა სორციელდება ამ კონვენციის 24-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

5. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული პირი, რომელიც იმყოფება ერთი მონაწილე სახელმწიფოში, თანახმაა, არსებითად ითანამშრომლოს მეორე მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებთან, ამ მონაწილე სახელმწიფოებს, მათი კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლიათ დადონ მორიგება ან შეთანხმება მოცემული პირის მიმართ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნული გამოყენების შესახებ.

მუხლი 27

თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებს შორის

1. მონაწილე სახელმწიფოები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოქმედებენ რა თავიანთი შიდა სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემების შესაბამისად, რათა აამაღლონ სამართალდამცავი საქმიანობის ეფექტიანობა ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. კერძოდ, თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ეფექტიან ზომებს, რათა:

a) განამტკიცონ ან, საჭიროების შემთხვევაში, შექმნან საკომუნიკაციო არხები კომპეტენტურ ორგანოებს, დაწესებულებებს და სამსახურებს შორის, რომელთა საშუალებით მოხდება ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე არსებული, მათ შორის სხვა დანაშაულებრივ საქმიანობასთან კავშირების შესახებ ინფორმაციის უსაფრთხო და სწრაფი გაცვლა;

b) ითანამშრომლონ სხვა მონაწილე სახელმწიფოებთან ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობების გამოძიების ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

i) დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა პირადობის, ადგილსამყოფლის და საქმიანობის დადგენა, აგრეთვე სხვა მასთან დაკავშირებულ პირთა ადგილსამყოფლის დადგენა;

ii) აღნიშნულ დანაშაულობათა ჩადენის გზით მიღებული შემოსავლებისა და ქონების გადაადგილება;

iii) აღნიშნულ დანაშაულობათა ჩასადენად გამოყენებული ან გამოსაყენებლად განკუთვნილი ქონების, მოწყობილობის ან სხვა საშუალებების გადაადგილება.

c) საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინონ გამოძიების ან ანალიზის მიზნებისთვის აუცილებელი საგნები ან საჭირო რაოდენობის ნივთიერებები;

d) ხელი შეუწყონ მათი კომპეტენტური ორგანოების, დაწესებულებების და სამსახურების ეფექტიან კოორდინაციას; აგრეთვე, დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა შორის ორმხრივი მორიგებების ან შეთანხმებების საფუძველზე, გაყვალონ თანამშრომლები და ექსპერტები, მათ შორის, კავშირგაბმულობის სპეციალისტები.

e) სხვა მონაწილე სახელმწიფოებთან აწარმოონ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების მიერ გამოყენებული კონკრეტული მეთოდების და საშუალებების შესახებ, როგორცაა, მაგალითად, ინფორმაცია მარშრუტების და გადაზიდვების, ყალბი ან შეცვლილი საიდენ-

ტიფიკაციო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გამოყენების და ნამდვილი საქმიანობის დაფარვის სხვა საშუალებების შესახებ;

1) საჭიროებისამებრ, გაცვალონ ინფორმაცია და მოახდინონ აღმინისტრაციული და სხვა ზომების კოორდინირება კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობების დროული გამოვლენის მიზნით.

2. კონვენციის პრაქტიკული რეალიზაციისათვის, მონაწილე სახელმწიფოები განიხილავენ მათი სამართალდამცავი ორგანოების პირდაპირი თანამშრომლობის შესახებ ორმხრივი და მრავალმხრივი მორიგებების და შეთანხმებების დადებით, სოლო ასეთი მორიგებების და შეთანხმებების არსებობის შემთხვევაში – მათი შეცვლის შესაძლებლობას. ასეთი მორიგებების და შეთანხმებების არსებობის შემთხვევაში მონაწილე სახელმწიფოები ამ კონვენციას განიხილავენ, როგორც მასში გათვალისწინებულ დანაშაულობებზე სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოები მათ სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით სრულად იყენებენ შესაბამის ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, მათ შორის საერთაშორისო და რეგიონულ მექანიზმებს.

3. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ, შესაძლებლობის ფარგლებში ითანამშრომლონ თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით ჩადენილ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობებზე რეაგირების თვალსაზრისით.

მუხლი 28

ორგანიზებული დამნაშავეობის ხასიათის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და გაცვლა

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო განიხილავს იმის შესაძლებლობას, რომ სამეცნიერო-კვლევითი წრეებთან კონ-

სულტაციების მეშვეობით გააანალიზოს მის ტერიტორიაზე ორგანიზებული დამნაშავეობის ტენდენციები, ორგანიზებული დამნაშავეობის არსებობის პირობები, აგრეთვე შეისწავლოს ამ საქმიანობაში ჩართული პროფესიული ჯგუფები და ტექნოლოგიები.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განისილონ იმის შესაძლებლობა, რომ ერთობლივად განავითარონ და ერთმანეთს გაუზიარონ ცოდნა და გამოცდილება ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ როგორც უშუალოდ, ასევე საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მეშვეობით.

3. თითოეული მონაწილე სახელმწიფო განიხილავს იმის შესაძლებლობას, რომ გააკონტროლონ მისი პოლიტიკა და პრაქტიკული ღონისძიებანი ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, აგრეთვე მოეწყოს მათი ეფექტიანობის და ქმედითობის შეფასება.

მუხლი 29

კადრების მომზადება და ტექნიკური დახმარება

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო, საჭიროების მიხედვით, შეიმუშავებს, ავითარებს ან აუმჯობესებს კონკრეტულ მოსამზადებელ პროგრამებს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების, მათ შორის, პროკურორების, გამომძიებლების, საბაჟო ორგანოების თანამშრომლებისა და სხვა პირებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობების თავიდან აცილებაზე, გამოვლენასა და აღკვეთაზე. ეს პროგრამები შეიძლება ითვალისწინებდეს თანამშრომელთა მივლინებებსა და გაყვლას. კერძოდ, რამდენადაც ეს დაშვებულია შიდა კანონმდებლობით, აღნიშნული პროგრამები უნდა ეხებოდეს შემდეგ საკითხებს:

ა) ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობების თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის მეთოდები;

b) ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობების ჩადენაში ექვემდებარებიან პირთა მარშრუტები და მათ მიერ გამოყენებული მეთოდები, მათ შორის სატრანზიტო ქვეყნებში, აგრეთვე შესაბამისი ღონისძიებები;

c) მეთვალყურეობა კონტრაბანდის საგნების გადაადგილებისადმი;

d) გამოვლენა და მეთვალყურეობა დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების, ქონების, მოწყობილობის ან დანაშაულის ჩადენის სხვა საშუალებების გადაადგილებისადმი და გადაცემის. დაფარვის ან შენიღბვის მეთოდებისადმი, აგრეთვე ფულის ლეგალიზაციის და სხვა ფინანსური დანაშაულობების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები;

e) მტკიცებულებათა შეგროვება;

f) თავისუფალ სავაჭრო ზონებსა და თავისუფალ ნავსადგურებში კონტროლის განხორციელების მეთოდები;

g) სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში გამოყენებული თანამედროვე აღჭურვილობა და მეთოდები, მათ შორის, ელექტრონული მეთვალყურეობა, კონტროლირებადი მიწოდება და აგენტურული ოპერაციები;

h) კომპიუტერების, ტელესაკომუნიკაციო ქსელების და თანამედროვე ტექნოლოგიის სხვა საშუალებების გამოყენებით ჩადენილი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები;

i) დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვის სერვისები.

2. მონაწილე სახელმწიფოები ერთმანეთს დასმარებას უწევენ კვლევისა და კადრების მოსამზადებელი პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რომლებიც მიზნად ისახავს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ დარგებში სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას. საჭიროების შემთხვევაში, ისინი ამავე მიზნით აწყობენ რეგიონულ და საერთაშორისო კონფერენციებს და სემინარებს თანამშრომლობისა და ორმხრივ საინტერესო პრობლემების, მათ შორის,

სატრანზიტო ქვეყნების განსაკუთრებული პრობლემებისა და საჭიროებების განსილვის ხელშეწყობისათვის.

3. მონაწილე სახელმწიფოები ერთმანეთს დახმარებას უწევენ კადრების მომზადებისა და სხვა ტექნიკურ საკითხებში, რაც ხელს შეუწყობს დამნაშავეთა გადაცემას და სამართლებრივ ურთიერთდახმარებას. აღნიშნული დახმარება შეიძლება მოიცავდეს უცხო ენის სწავლებას, მივლინებებსა და თანამშრომელთა გაცვლას შესაბამისი ფუნქციების მქონე ცენტრალურ ორგანოებს ან დაწესებულებებს შორის.

4. ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების ან მორიგებების არსებობის შემთხვევაში მონაწილე სახელმწიფოები, საჭიროების მიხედვით, ააქტიურებენ ძალისხმევას, რათა მაქსიმალურად აამაღლონ პრაქტიკული და სასწავლო ღონისძიებების ეფექტიანობა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების და სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების და მორიგებების ფარგლებში.

მუხლი 30

სხვა ზომები: კონვენციის განხორციელება ეკონომიკური განვითარების და ტექნიკური დახმარების გზით

1. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ამ კონვენციის ოპტიმალური რეალიზაციის ხელშეწყობ ზომებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, საერთაშორისო თანამშრომლობის გზით და მხედველობაში იღებენ ორგანიზებული დამნაშავეობის უარყოფით გავლენას მთლიანად საზოგადოებასა და მის მდგრად განვითარებაზე.

2. მონაწილე სახელმწიფოები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ერთმანეთთან, აგრეთვე საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან კოორდინირების გზით იღებენ კონკრეტულ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს:

ა) განვითარებად ქვეყნებთან სხვადასხვა დონეზე თანამშრომლობის გააქტიურებას იმისათვის, რომ გააღვივდეს ამ

ქვეყნების უნარი. თავიდან აიცილონ და ებრძოლონ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დამნაშავეობას;

b) განვითარებადი ქვეყნების ძალისხმევის მსარდასაჭერად ფინანსური და მატერიალური დახმარების გაფართოებას, რომელიც მიმართული იქნება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ და მათ მიერ ამ კონვენციის წარმატებით განსორციელებისაკენ.

c) ტექნიკური დახმარების აღმოჩენას განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისადმი, რათა მათ შეეძლოთ ამ კონვენციის იმპლემენტაციისთვის საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამ მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ. რეგულარულ და ნებაყოფლობით საფუძველზე მოახდინონ საკმარისი თანხების გადარიცხვა ანგარიშზე, რომელიც კონკრეტულად ამ მიზნისათვის არის განკუთვნილი გაერთიანებული ერების მიერ შექმნილი დაფინანსების მექანიზმში. მონაწილე სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ შესაძლებლობას, რომ, მათი შიდა კანონმდებლობით და ამ კონვენციით დადგენილი წესით, აღნიშნულ ანგარიშზე გადარიცხონ ამ კონვენციის შესაბამისად კონფისკაციამნილი თანხების ანდა დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ან ქონების შესაბამისი ფულადი სახსრების ეკვივალენტის ნაწილი;

d) საჭიროების მიხედვით, სხვა სახელმწიფოების და ფინანსური დაწესებულებების წახალისებას და დარწმუნებას, რომ ისინი შეუერთდნენ ამ მუხლში აღნიშნულ საერთო ძალისხმევას. კერძოდ, განვითარებადი ქვეყნები უზრუნველყონ მეტი მოცულობის კადრების მოსამზადებელი პროგრამებით და თანამედროვე აღჭურვილობით, რაც დაეხმარება მათ ამ კონვენციის მიზნების მიღწევაში.

3. რამდენადაც ეს შესაძლებელია, აღნიშნული ზომები ხელს არ უშლის არსებულ საერთაშორისო დახმარების თუ სხვა ფინანსური თანამშრომლობის ვალდებულებებს ორმხრივ, რე-

გიონულ და საერთაშორისო დონეზე.

4. მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ, დადონ ორმხრივი ან მრავალმხრივი მორიგებები, ან შეთანხმებები მატერიალურ-ტექნიკური დახმარების შესახებ, რომლის დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფინანსური მხარე, რაც აუცილებელია ამ კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანად წარმართვისათვის და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეების თავიდან აცილების, გამოვლენისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

მუხლი 31

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეების თავიდან აცილება

1. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეების თავიდან აცილების მიზნით მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ, შეიმუშაონ და შეაფასონ ეროვნული პროექტები და ხელი შეუწყონ ამ თვალსაზრისით საუკეთესო პრაქტიკის და პოლიტიკის ჩამოყალიბებას და დანერგვას.

2. შიდა კანონმდებლობის ფუძემდებლური პრინციპების დაცვით, მონაწილე სახელმწიფოები საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომების გამოყენების მეშვეობით ცდილობენ, დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებს შეუმცრონ ლეგალურ ბაზარზე დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლებით მოქმედების არსებული ან სამომავლო შესაძლებლობები. ეს ზომები ყურადღებას უნდა ამახვილებდეს შემდეგზე:

a) სამართალდამცავ ორგანოებს ან პროკურატურის ორგანოებსა და შესაბამის და კერძო ორგანიზაციებს, მათ შორის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში შემავალ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება;

b) ისეთი სტანდარტების და პროცედურების შემუშავების ხელშეწყობა, რომლებიც მიმართული იქნება საჯარო და შე-

საბამისი კერძო იურიდიული პირების კეთილსინდისიერი საქმიანობის დაცვისაკენ; აგრეთვე, ცალკეული პროფესიული ჯგუფებისათვის, სახელდობრ, იურისტების, ნოტარიუსების, საგადასახადო კონსულტანტებისა და ბუღალტრებისათვის ქცევის კოდექსის შემუშავების ხელშეწყობა;

c) ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცხადებული ტენდერების პროცედურების დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების მიერ ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება; აგრეთვე ხელისუფლების ორგანოების მიერ სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიების და სუბსიდიების დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების მიერ ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება;

d) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების მიერ იურიდიული პირების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება. ამ მხრივ მიმართული ღონისძიებები შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

i) იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საჯარო რეესტრის დაწესება, რომელთა საქმიანობას განეკუთვნება იურიდიული პირების დაფუძნება, მართვა და დაფინანსება;

ii) ისეთი წესის შემოღება, რომლის თანახმად, ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობებისთვის მსჯავრდებულ პირებს სასამართლოს გადაწყვეტილებით და სხვა გზით აეკრძალებათ, დროის გონივრული პერიოდით, შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაფუძნებული იურიდიული პირის დირექტორის თანამდებობის დაკავება;

iii) იმ პირთა ეროვნული რეესტრის შემოღება, რომელთაც აკრძალული აქვთ იურიდიულ პირთა ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება; და

iv) ამ პუნქტის (d)(i) და (iii) ქვეპუნქტებში აღნიშნულ რეესტრებში არსებული ინფორმაციის გაცემა სხვა მონაწილე სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებთან.

3. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ, ხელი შეუწყონ ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობების ჩადენა-

ში მსჯავრდებულ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

4. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ, პერიოდულად მოახდინონ არსებული შესაბამისი იურიდიული დოკუმენტების და ადმინისტრაციული პრაქტიკის შეფასება იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს, თუ რამდენად დაუკველია ისინი დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ბოროტად გამოყენების შესაძლებლობისგან.

5. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ, უფრო ღრმად გააცნობიერებინონ საზოგადოებას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის არსებობა, მიზეზები, სიმძიმე, და მის მიერ გამოწვეული საფრთხე. საჭიროების მიხედვით, ასეთი ინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით და უნდა ასახავდეს, თუ რა ზომების მიღება არის შესაძლებელი საზოგადოების ჩასაბმელად აღნიშნული დანაშაულის თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში.

6. თითოეული მონაწილე სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივანს აცნობებს იმ ორგანოს ან ორგანოების სახელწოდებას და მისამართს, რომელთაც შეუძლიათ დასმარება გაუწიონ სხვა სახელმწიფოებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავებაში.

7. საჭიროების მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან ამ მუხლში აღნიშნული ზომების შემუშავებასა და განხორციელებაში. აქ იგულისხმება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის თავიდან აცილებისაკენ მიმართულ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, რომლებიც, მაგალითიად, შეიძლება შეეხებოდეს პირობების გაუმჯობესებას იმ სოციალურად დაუკველი ჯგუფებისთვის, რომლებიც მოწყვლადი არიან ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის მიმართ.

მუხლი 32

კონვენციის მონაწილეთა კონფერენცია

1. შეიქმნას კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენცია, რომლის მიზანია მონაწილე სახელმწიფოების შესაძლებლობათა გაფართოება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე, ხელი შეუწყოს ამ კონვენციის განსორციელებას და მისი შესრულების მიმდინარეობის გაშუქებას.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მონაწილეთა კონფერენციას იწვევს არაუგვიანეს ერთი წლისა ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან. მონაწილეთა კონფერენცია იღებს რეგლამენტს და ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის მარეგულირებელ წესებს (მათ შორის, წესებს ამ საქმიანობისათვის გაწეული ხარჯების გადასდის შესახებ).

3. მონაწილეთა კონფერენცია ათანხმებს მექანიზმებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. როგორც არის:

a) ამ კონვენციის 29-ე, 30-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებული მონაწილე სახელმწიფოთა საქმიანობის ხელშეწყობა, მათ შორის, ნებაყოფლობითი შენატანების მობილიზაციის გზით;

b) ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის ფორმებისა და ტენდენციების, აგრეთვე მასთან წარმატებული ბრძოლის ხერხების შესახებ მონაწილე სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა;

c) შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

d) კონვენციის განსორციელების საკითხების პერიოდული განხილვა;

e) ამ კონვენციისა და მისი რეალიზაციის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის (d) და (e) ქვეპუნქტების მიზნებისათვის, მონაწილეთა კონფერენციამ მონაწილე სახელმწიფოებისაგან მიღებული ინფორმაციით და იმ დამატებითი მექანიზმების მეშვეობით, რომლებიც მან შეიძლება დააწესოს, უნდა შეიტყოს მონაწილე სახელმწიფოების მიერ ამ კონვენციის განსასორციელებლად მიღებული ზომების და მათ წინაშე ამ თვალსაზრისით არსებული წინააღმდეგობების შესახებ.

5. თითოეული მონაწილე სახელმწიფო, მონაწილეთა კონფერენციის მოთხოვნით, წარუდგენს მას ინფორმაციას ამ კონვენციის რეალიზაციის პროგრამების, გეგმებისა და მეთოდების, აგრეთვე საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების შესახებ.

მუხლი 33

სამდივნო

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უზრუნველყოფს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციას აუცილებელი სამდივნო მომსახურებით.

2. სამდივნო:

a) მონაწილეთა კონფერენციას დახმარებას უწევს ამ კონვენციის 32-ე მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის განსორციელებაში და აგვარებს მონაწილეთა კონფერენციის სსდომებთან დაკავშირებულ ტექნიკურ და სხვა სახის მომსახურების საკითხებს;

b) მონაწილე სახელმწიფოებს, მათი თხოვნით, დახმარებას უწევს მონაწილეთა კონფერენციისათვის ამ კონვენციის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებაში; და

c) უზრუნველყოფს სხვა შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების სამდივნოებთან აუცილებელ კოორდინაციას.

მუხლი 34

კონვენციის რეალიზაცია

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო, მისი შიდა კანონმდებლობის ფუძემდებლური პრინციპების შესაბამისად, იღებს ზომებს, მათ შორის, საკანონმდებლოს და ადმინისტრაციულს, რაც აუცილებელია ამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა ამ კონვენციის მე-5, მე-6, მე-8 და 23-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულობანი თავიანთ შიდა კანონმდებლობაში უნდა გაითვალისწინონ ცალკე, მათი ტრანსნაციონალური ხასიათის და დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფთან კავშირისაგან დამოუკიდებლად, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე კონვენციის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონვენციის მე-5 მუხლი დანაშაულის სავალდებულო ელემენტად აწესებს დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფთან კავშირს.

3. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს უფრო მკაცრი ან მძიმე ზომები, ვიდრე ამ კონვენციითაა გათვალისწინებული.

მუხლი 35

დავების გადაწყვეტა

1. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ, ამ კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით.

2. ამ კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ორ ან მეტ მონაწილე სახელმწიფოს შორის, რომელიც ვერ გადაწყდა დროის გონივრული პერიოდის მანძილზე, მოლაპარაკების გზით, ამ მონაწილე სახელმწიფოთაგან ერთ-ერთის თხოვნით, გადაეცემა

არბიტრაცს. თუ არბიტრაციის მიერ დავის განხილვის მოთხოვნიდან ექვსი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ არბიტრაციის ორგანიზაციულ საკითხებზე, ამ მონაწილე სახელმწიფოთაგან ნებისმიერს შეუძლია, დავა განსახილველად გადასცეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ამ სასამართლოს წესდებით გათვალისწინებული წესით.

3. კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მასთან შეერთებისას, ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ აღიარებს თავის ვალდებულებას ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიმართ. სხვა მონაწილე სახელმწიფოებს არ ეკისრებათ ამ მუხლის მე-2 პუნქტის სავალდებულო შესრულება იმ მონაწილე სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელმაც გააკეთა აღნიშნული დათქმა.

4. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ეს დათქმა გააუქმოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდიენისადმი შესაბამისი შეტყობინებით.

მუხლი 36

ხელმოწერა, რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება და შეერთება

1. წინამდებარე კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა ყველა სახელმწიფოსთვის 2000 წლის 12-დან 15 დეკემბრამდე იტალიის ქალაქ პალერმოში, ხოლო შემდგომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის ცენტრალურ დაწესებულებებში 2002 წლის 12 დეკემბრამდე.

2. კონვენცია ასევე ღიაა ხელმოსაწერად ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციებისათვის იმ პირობით, რომ ასეთი რეგიონული ორგანიზაციის ერთ წევრ სახელმწიფოს მაინც აქვს ხელი მოწერილი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით.

3. კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო სიგელები, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტები დეკონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულ ორგანიზაციას შეუძლია მოახდინოს თავისი სარატიფიკაციო სიგელის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტის დეკონირება, თუ მისმა წევრმა ერთმა სახელმწიფომ მაინც მოახდინა აღნიშნული დოკუმენტის დეკონირება. სარატიფიკაციო სიგელში ან მიღების თუ დამტკიცების დოკუმენტში ასეთმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს მისი კომპეტენციის ფარგლებში ამ კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებაში. აღნიშნულმა ორგანიზაციამ ასევე დეკონიტარს უნდა შეატყობინოს მისი კომპეტენციის ფარგლების ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

4. კონვენცია შეერთებისთვის ღიაა ყველა სახელმწიფოს ან იმ ეკონომიკური ინტეგრაციის ასეთი რეგიონული ორგანიზაციისთვის, რომლის ერთ წევრი მაინც არის ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფო. შეერთების დოკუმენტები დეკონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან. შეერთების დროს, ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს მისი კომპეტენციის ფარგლები ამ კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებაში. აღნიშნულმა ორგანიზაციამ ასევე დეკონიტარს უნდა შეატყობინოს მისი კომპეტენციის ფარგლების ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

მუხლი 37

ოქმებთან დამოკიდებულება

1. ამ კონვენციას შეიძლება დაემატოს ერთი ან რამდენიმე ოქმი.

2. ოქმის მონაწილედ გახდომისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფო ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორ-

განიზაცია იყოს ამ კონვენციის მონაწილე.

3. ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოსთვის ოქმი არ არის სავალდებულო, თუ იგი არ გასდება ოქმის მონაწილე მასში დადგენილი წესით.

4. კონვენციის ნებისმიერი ოქმი განიმარტება კონვენციასთან ერთობლიობაში, ამ ოქმის მიზნის გათვალისწინებით.

მუხლი 38

ძალაში შესვლა

1. კონვენცია ძალაში შედის მეორმოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მილების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტის დეპონირებიდან 90-ე დღეს. ამ პუნქტის მიზნებისთვის ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციის მიერ დეპონირებული არაავითარი დოკუმენტი არ ჩავთვლება ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ დეპონირებული დოკუმენტების დანამატად.

2. ყოველი სახელმწიფოსთვის ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციისთვის, რომელმაც რატიფიკაციაპყო, მიიღო, დაამტკიცა ეს კონვენცია, ან შეუერთდა მას მეორმოცე სარატიფიკაციო სიგელის ან ასეთი დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შედის ამ სახელმწიფოს ან ორგანიზაციის მიერ შესაბამისი დოკუმენტის დეპონირებიდან 30-ე დღეს.

მუხლი 39

შესწორებები

1. კონვენციის ძალაში შესვლიდან 5 წლის შემდეგ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წარმოადგინოს და გადასცეს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც ამ წინადადებას განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად უგზავნის მონაწილე სახელმწიფოებს და კონვენციის მონაწილეთა კონფერენციას. მონაწილეთა კონფე-

რენცია ყოველმსრივ უნდა ეცადოს, რომ თითოეულ შესწორების პროექტზე მიღწეულ იქნეს კონსენსუსი. თუ კონსენსუსის მიღწევის ყველა საშუალება ამოიწურა და შეთანხმება მაინც ვერ მოსერსდა, მაშინ უკიდურესი ღონისძიების სასით. შესწორების მიღებისათვის საჭიროა მონაწილეთა კონფერენციის დამსწრეთა კენჭისყრაში მონაწილეობის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოთა ხმების ორი შესამედი.

2. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულ ორგანიზაციებს, მათი კომპეტენციის ფარგლებში, შეუძლიათ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღონ იმდენი ხმით, რამდენი ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოც არის მათი წევრი. ამ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ხმის მიცემა, თუ ხმის მიცემის უფლებას ახორციელებენ მათი წევრი სახელმწიფოები და პირიქით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით მიღებული შესწორება ექვემდებარება მონაწილე სახელმწიფოების მიერ რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით მიღებული შესწორება მონაწილე სახელმწიფოსთვის ძალაში შედის მის მიერ ამ ცვლილების რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დეკონირებიდან 90-ე დღეს.

5. ძალაში შესვლის შემდეგ შესწორება სავალდებულოა იმ მონაწილე სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც გამოთქვეს თანხმობა მათთვის ამ შესწორების სავალდებულობაზე. სხვა მონაწილე სახელმწიფოებისთვის ამ კონვენციის დებულებები და მათ მიერ ადრე რატიფიკირებული, მიღებული ან დამტკიცებული ყოველგვარი შესწორება რჩება სავალდებულო.

მუხლი 40

დენონსაცია

1. მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

გენერალური მდივნისთვის წერილობითი შეტყობინების გზით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

2. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაცია წყვეტს ამ კონვენციის მონაწილედ ყოფნას, თუ ამ ორგანიზაციის ყველა მონაწილე სახელმწიფომ მოასდინა კონვენციის დენონსაცია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით კონვენციის დენონსაცია გამოიწვევს მისი ყველა ოქმის დენონსაციას.

მუხლი 41

დეკომიტარი და ენები

1. წინამდებარე კონვენციის დეკომიტარად ინიშნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

2. ამ კონვენციის დედანი, რომლის ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტურია, დეკონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

რის დასადასტურებლადაც, ქვემოთე ხელისმომწერნი _ თაჲიანთი მთაერობებისგან ჯეროენად უფლებამოსილი სრულუფლებიანი წარმომადგენლები, ხელს აწერენ წინამდებარე კონვენციას.

წყარო: ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ კონვენციის შემმუშავებელი საქციალური კომიტეტის მოხსენება ა/55/383, პარ.121.

შინაარსი

შესავალი	3
თავი I. შინაინსური ლაგვერვის დანაყოფების (ფლ) შექმნა	5
§1. ნაბიჯები ფლ-ს შესაქმნელად	5
1.1. საკვანძო გადაწყვეტილებანი	7
1.2. კონსულტაციები კერძო სექტორთან	8
1.3. ფლ-ს დაფინანსება	8
§2. ფლ-ს ადგილი ეროვნულ ადმინისტრაციაში	10
2.1. ინსტიტუციური ავტონომია და ანგარიშვალდებულება	10
2.2. ადმინისტრაციაში განთავსება	12
2.3. ფლ მეთაურის დანიშვნა და გადაყენება	13
2.4. მართლურთიერთობა მინისტრსა და ფლ-ს შორის	14
§3. ორგანიზაცია და შტატი	16
3.1. შიდა ორგანიზაცია	16
3.2. შტატი	18
3.3. შტატის პასუხისმგებლობა და ინფორმაციის კონფიდენციალურობა	19
3.4. უსაფრთხოების საკითხები	20
§4. საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები	20
4.1. ფაგფ-ის რეკომენდაციები	20
4.2. საერთაშორისო კონვენციები	21
4.3. ფლ ნორმები და სტანდარტები ევროპის კავშირში	22
4.4. სანიშნო კანონები	25
4.5. შინაინსური სექტორისადმი ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები	26

§5. ფულ ტიპების კლასიფიკაცია.....	27
5.1. ადმინისტრაციული ტიპის ფულ	28
5.2. სამართალგამომყენებელი ტიპის ფულ	31
5.3. სასამართლო ანუ მდევნელი ტიპის ფულ.....	38
5.4. ჰიბრიდული ფულ.....	39
5.5. ფლ დანაყოფები ძალიან პატარა განვითარებად კუნძულ-სახელმწიფოებში	40
თავი II. ფულ ძირითადი ფუნქციები.....	42
§1. ოპერაციების ამსახველი ცნობების მიღება.....	43
1.1. ვინ უნდა მოახსენოს?	44
1.2. ფინანსური დაწესებულებანი.....	45
1.3. ბანკები, სადამღვევო სამოგალოებანი და ფასიანი ქაღალდების კომპანიები.....	46
1.4. არაფინანსური ბიზნესის სახეობანი და პროფესიები.....	49
1.5. კაზინოები.....	49
1.6. უძრავი ქონების აგენტები და ძვირფასი ლითონებისა და პატიოსანი თვლების დილერები.....	50
1.7. იურისტები, ნოტარიუსები, სხვა დამოუკიდებელი პროფესიები და ბუღალტრები.....	51
1.8. ტრასტები და კომპანიების მომსახურე პროვაიდერები....	54
1.9. სხვადასხვა.....	55
1.10. რა უნდა მოვახსენოთ?.....	55
1.11. მოხსენებანი საეჭვო ოპერაციების შესახებ.....	56
1.12. რა არის ეჭვი?.....	57
1.13. რას წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი საქმიანობა მოხსენების მიზნებისათვის?.....	59
1.14. მოხსენებანი, რომლებიც გერორიზმის დაფინანსებას განეკუთვნება	60

- 1.15. მოხსენებანი მსხვილი ფინანსური ოპერაციების შესახებ60
- 1.16. მოხსენებანი ვალუტისა და თავდაცვითი დოკუმენტების შექმნელთა გადაადგილების ოპერაციების შესახებ61
- 1.17. წესები, რომლებიც მომხსენებელ ორგანიზაციებს ეხება. ინფორმაციის კონფიდენციალურობა..... 62

- §2. ცნობების ანალიზი 63
- §3. ცნობების ბავრცელება 65

თავი III. ფლ სხვა ფუნქციები.....66

- §1. ზოგადი ღახასიათება.....66
- §2. ფგ/ტღ-ის მოთხოვნებისაღმი შესაბამისობის მონიტორინგი ___67
 - 2.1. ფგ/ტღ მუდამხედველობის ღონისძიებანი..... 68
 - 2.2. ფლ როგორც ფგ/ტღ-ის სამუდამხედველო ორგანო 70
 - 2.3. ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა71

- §3. ოპერაციების ბლოკირება ლა ანბარიშების ბაყინვა73
- §4. ცნობების ბამგვან ღაწესებულებათა შტატის სწავლება 76
- §5. კვლევის მოწყობა77

თავი IV. ფულის წმენდის სართაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისაღმი წინააღღტომა.....78

- §1. საღაღღვეშო გეღამხედველობის ორგანოებისა ლა საღაღღვეშო საგოგაღოებათა სართაშორისო ასოციაციის (იანის) სახელგმღვანელო მითითებანი ფულის წმენდისაღმი წინააღღტომის საქმეში78
- §2. პოლიტიკურად ცნობილი პირნი ლა ფულის ბათეთრება.....97

§3. კლიენტისა და ბენეფიციარული ფუნდის ინფორმაციის პრინციპები კომისიათა საერთაშორისო ორგანიზაციის შასინანი ქალაქების დარგში.....107

თავი V. არაკომერციული ორგანიზაციები და მათი

კავშირი ტერორიზმის დაფინანსებასთან..... 124

§1. გლობალიზაციის დახასიათება შატუ-ის მოხსენებისა ტერორიზმის დაფინანსებასთან არაკომერციული ორგანიზაციების კავშირის შესახებ..... 124

§2. ბორტგამოყენებათა კატეგორიები.....127

§3. ტერორიზმის დაფინანსების აღმოჩენა აკო-ს სექტორში 128

§4. ბაზრების ინფორმირება.....130

§5. განსხვავებული საგადასახადო სისტემები და მიღწევები _ 132

თავი VI. შინაარსი დაგვირგვინის საერთაშორისო

ჯგუფი „ეგონტი“ 135

§1. შინაარსი დაგვირგვინის ეროვნული დანაყოფები და ეგონტის ჯგუფი..... 135

§2. ეგონტის ჯგუფის საერთაშორისო სამართლებრივი დახასიათება, სტრუქტურა და საქმიანობა 140

§3. ეგონტის ჯგუფის თათბირები.....147

§4. ეგონტის ჯგუფი: საუკეთესო პრაქტიკა
 შინაარსი დაგვირგვინით დანაყოფებს შორის ინფორმაციის გაზიარების152

§5. ეგონტის ჯგუფის განვითარების გლობალური შედეგი..... 160

თავი VII. დანამატები შემოსავლების ბათეთრებისადმი
წინააღმდეგობის საერთაშორისო
ორგანიზაცია (შატფ-ი) – საერთაშორისო უნივერსული
მომხმელების ობიექტი (2005-2006 წწ. მოხსენება).....163

§1. შატფ-ის საქმიანობის მიმოხილვა.....163

§2. უფლის ბათეთრებისა და ტარორიზმის დაწინაანსების
წინააღმდეგ ბრძოლის გაწარმოება..... 166

2.1. კერძო სექტორთან დიალოგის შემდგომი სრულყოფა...166

2.2. შატფ-ის წევრობის გაწარმოება..... 168

2.3. შატფ-ის ტიპის რეგიონული ორგანიზაციების როლისა და
სტატუსის სრულყოფა ამ ორგანიზაციის ფარგლებში..... 169

§3. დამატებითი სტანდარტების გამოცემა, ინტერპრეტაციული
შენიშვნა VIII სექციის რეკომენდაციის (SRVIII) გამო
არაკომპლემენტული ორგანიზაციითა შესახებ..... 171

§4. ორმხრივი მოლაპარაკების მესამე რაუნდის გამართვა...172

4.1. ურთიერთშეფასებათა პროცესი..... 172

4.2. ურთიერთშეფასებათა პროცესის დასრულება:
შატფ-ის 10 წევრი შეფასებულია.....173

§5. კორდინირებული მომხმელების გაძლიერება.....174

5.1. ერთობლივი ინიციატივები შატფ-ის ტიპის რეგიონულ
ორგანიზაციებთან ერთად..... 175

5.2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა 177

§6. მეთოდებისა და ტენდენციების ამსახველი
ინფორმაციის შეგროვება178

6.1. შესრულება ტიპოლოგიების მიხედვით 2005-2006 წწ.....	178
6.2. მომავალი მუშაობა ტიპოლოგიებზე.....	179
§7. მსოფლოდ ერთი არამოთანამშრომლე ქვეყანა	
რჩება მეთვალყურეობის ქვეშ.....	180
§8. მხარდასაჭერი მომსახურება და ფინანსური ანბარიშები	181
დასკვნა.....	184
დანართი 1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის	
კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული	
დაგნაგავიშების წინააღმდეგ	187

**საბამომცემლო უზრუნველყოფა:
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“**

დირექტორი:	ზაურ ნაჭყებია
ტექნიკური რედაქტორი:	ლევან ბოჭორიშვილი
ოპერატორი:	სოფო ძილიშთარი
კორექტორები:	ქეთევან ჟახნაძია ბვანცა შანავა

მისამართი: თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22
ტელ: (899) 56-14-57; 98-39-30; 98-71-25; 92-25-23.

Email: inovacia@caucasus.net
vladimir@vakhaniya.ru